

საკონტაქტო მონაცემები:

T-595552010

Email- [nucink@gmail.com](mailto:nucink@gmail.com)



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**იურიდიული ფაკულტეტი**

**ნინო კაპანაძე**

სამაგისტრო ნაშრომი

**პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფა  
ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ეტაპზე**

წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: **ნინო გოგნიაშვილი**

ასისტ. პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2019

# სარჩევი

|   |    |
|---|----|
| გამოყენებული აბრევიატურა .....  | 3  |
| შესავალი .....  | 4  |
| თავი I. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება .....                              | 8  |
| თავი II ფარული საგამოძიებო მოქმედებების ცნება და მისი.....                        | 34 |
| ჩატარების წესი .....  | 34 |
| თავი III .....  | 36 |
| ფარული საგამოძიებო მოქმედება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის<br>პრინციპი ..... | 36 |
| თავი IV .....   | 54 |
| პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიები საერთაშორისო -სამართლებრივ ჭრილში<br>.....     | 54 |
| დასკვნა .....   | 67 |

## გამოყენებული აბრევიატურა

1. ა.შ - ასე შემდეგ
2. ე.წ - ეგრედ წოდებული
3. მაგ. - მაგალითად
4. ე.ი - ესე იგი
5. სხვ. - სხვა
6. თბ. - თბილისი
7. იხ. -იხილეთ
8. კრ. - კრებული
9. მაგ. - მაგალითად
10. ჟურნ. - ჟურნალი
11. სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი
12. სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

## შესავალი

თემის აქტულობა - საქართველო საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ აღმოჩნდა ფუნდამენტური საზოგადოებრივი ცვლილებების პირისპირ. აღნიშნულმა დღის წესრიგში დააყენა ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნის საკითხი, რაც დემოკრატიულ საწყისებს დაეფუძნებოდა. ამ თვალსაზრისით გატარდა ძირეული სამართლებრივი რეფორმები. კვლევის მიზნებისთვის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო კოდექსი, “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” კანონი და სხვა. ამ საზოგადოებრივი ცვლილებების ფონზე პირადი ცხოვრების დაცვამ და უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმების პოვნამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა. სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში უფროდაუფრო იზრდება დამუშავებულ საკითხთა წრე. თუმცა მათ პარალელურად არსებობს პრობლემური საკითხები, რომლებიც მიმდინარე ცვლილებების საფუძველზე ძველი დებულებების გადახედვის აუცილებლობას წარმოშობს. ერთ-ერთ ასეთ ნაკლებად შესწავლილ საკითხად (მით უფრო ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში) შეიძლება ჩაითვალოს პირადი ცხოვრების დაცვის პრობლემა.

საქართველოში პირადი სფერო დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის კოდექსით, სამოქალაქო კოდექსით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” კანონით, “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” კანონით, საპროცესო კანონმდებლობით და ა.შ. მათი შესწავლის შედეგად ჩნდება ბუნდოვანების განცდა. ამ თვალსაზრისით

სამოქალაქო სამართლებრივი დაცვა არაა საკმარისი. აუცილებელია დასახელებული ნორმების დახვეწა-შესწორება მწყობრი მეცნიერული თეორიის შედეგად განსაზღვრული დებულებების ჩამოყალიბების საფუძველზე. ამასთან, მიზანშეწონილია მოცემული საკითხის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან სისტემურ კავშირში შესწავლა. თემა ასევე უკავშირდება რთულ თეორიულ პრობლემებს ფილოსოფიის, სამართლის თეორიის, სამოქალაქო სამართლის, საპროცესო სამართლის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის პრობლემატიკიდან. პირადი ცხოვრების დაცვის პრობლემატიკას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პრაქტიკაში სამართლებრივ ღირებულებათა კოლიზიების არსებობაც. ყველაზე გავრცელებულია პირადი ცხოვრების დაცვის უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების ღირებულებითი კონფლიქტები, პრესის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების დაცვის უფლების კოლიზიები.

პირადი სფეროს ხელყოფის ლატენტურობა ასევე მეტყველებს კვლევის აქტუალობაზე. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში უშუალოდ პირადი ცხოვრების დაცვის თაობაზე სამოქალაქო საქმეთა წრე სულ რამდენიმე გადანყვეტილებით შემოიფარგლება. აღნიშნული შეიძლება კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციის ან ნაცვლად პირადი ცხოვრების დაცვისა, სხვა უფლებების (მაგალითად, სახელის, საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლებების და ა. შ.) დაცვის მიზეზი იყოს. ეს პირადი სფეროს დაუცველად დატოვების წინაპირობა შეიძლება გახდეს. ამასთან, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა პირადი ცხოვრების დაცვის თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გამოცდილებისგან განსხვავებული შეიძლება იყოს. ამ გაგებით საყურადღებოა პირადი ცხოვრების ხელყოფის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე “გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ”. საქართველოში მოცემული ტიპის საქმეები ფაქტობრივად, ნაცვლად პირადი ცხოვრების ხელყოფისა, სხვა საკით-

ხებთანაა გაერთიანებული, რის გამოც პირადი ცხოვრების დაცვის იურიდიული გარანტიები გაუთვალისწინებელი რჩება. ამასთან, პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებით შედარებით მდიდარია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა<sup>1</sup>.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია კერძო ცხოვრებისა და მისი სფეროების განსაზღვრა, რაც აქამდე ფუნდამენტური კვლევის საგანი ნაკლებად იყო, რადგან ის პირად არაქონებრივ უფლებათა ჭრილში განიხილებოდა და სფეროთა განსხვავებები უყურადღებოდ რჩებოდა. პირადი ცხოვრების დაცვა მჭიდროდაა დაკავშირებული თავად პირად არაქონებრივ უფლებებსა და პირად სფეროს შორის მიმართების დადგენასა და სისხლის სამართლებრივი დაცვის ფუნქციებთან. საკითხის პრობლემურობას ადასტურებს ისიც, რომ, მიუხედავად პირადი ცხოვრების მრავალმხრივი კვლევისა, იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე არ შექმნილა ლოგიკურად გამართული და მეცნიერულად მყარი თეორია, რომელიც პასუხს გასცემდა კითხვებს: რა არის კერძო სფერო? რა არის პირადი სფერო? რითია განსაკუთრებული პირადი ცხოვრების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა დაცვის სხვა ხერხებთან შედარებით? საკმარისია თუ არა სამოქალაქოსამართლებრივი წესით პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა? რამდენად მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დაცვის მექანიზმი და ა.შ.

**ნაშრომის მიზანი** - ნაშრომის მიზანია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფის სამართლებრივი გარანტიების ანალიზი ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ეტაპზე. პირადი ცხოვრების დაცვის თაობაზე თეორიების, საქართველოსა და საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გაცნობა-ანალიზი,

---

<sup>1</sup> მ. ბიჭია., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (დისერტაცია) თბ. 2012, 10

ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ურთიერთქმედების შესწავლა; საკანონმდებლო ნორმების სრულყოფისა და პრაქტიკაში ნამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების ჩვენება.

**კვლევის მეთოდები** - ნაშრომში პირადი ცხოვრების დაცვის არსისა და თავისებურებების გამოსაკვეთად გამოყენებულია იურიდიული მეცნიერებისთვის ტრადიციული მეთოდები – დოგმატური და ნორმატიული მეთოდები. ამასთან, კვლევაში ვიხელმძღვანელეთ ისტორიული, შედარებით -სამართლებრივი, სისტემური, ანალიზისა და სინთეზის, ლოგიკური მეთოდებით. საკითხის როგორც სოციოლოგიური, ისე სამართლებრივი ასპექტების განხილვა პრობლემის მთელი სისავსით აღქმის შესაძლებლობას იძლევა.

## თავი I. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

### 1.1 პირადი ცხოვრება

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ფართო და მრავალმხრივი შინაარსი გააჩნია, იგი უამრავი უფლებრივი კომპონენტისაგან შედგება, რომლებიც კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლითაა დაცული. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, „პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომლის პრაქტიკა ამ სფეროში ძალზე მდიდარია, არაერთ გადანწყვეტილებაში მიუთითებს ამ უფლების სრული განმარტების შეუძლებლობაზე. “სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს “პირადი ცხოვრების” კონცეფცია“. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, რომელიც ადამიანს გარანტიას აძლევს, რომ მისი პირადი, კერძო სფერო დაცული იქნება. ამავდროულად ვერც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ვერც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ ახდენენ ამ უფლების სრულად განსაზღვრას და მისი ყველა ასპექტის ჩამოთვლას, რაც ასევე ამ უფლების ფართო ხასიათსა და განსაკუთრებულობაზე მიუთითებს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა



ინდივიდის ავტონომიურობის, დამოუკიდებელი განვითარების, მისი ღირსების დაცვის წინაპირობაა<sup>2</sup>.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გულისხმობს “ინდივიდის შესაძლებლობას საკუთარი შეხედულებისამებრ წარმართოს თავისი კერძო ცხოვრება და იყოს დაცული მის კერძო სფეროში სახელმწიფოს და სხვა პირების ჩარევისგან. იცავს ადამიანის არჩევანს იარსებოს გარე სამყაროსგან დამოუკიდებლად, იყოს მარტო, ასევე თავისუფლად გადაწყვიტოს რა პირობებში და მოცულობით ექნება ურთიერთობა საზოგადოების სხვა წევრებთან,<sup>3</sup>” თავად განსაზღვროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ფარგლები, დრო, ინტენსივობა, ფორმები. პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს ინდივიდის ცხოვრების ინტიმურ, კერძო და სოციალურ სფეროებს. მიუხედავად იმისა, რომ ინტიმურ სფეროს მიკუთვნებული საკითხები, როგორც წესი, დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით სარგებლობს და შებლუდვის კანონიერება ექვემდებარება ე.წ. მკაცრ ტესტ-შემოწმებას, საქართველოს სისხლის საპროცესო კანონმდებლობა ამ ინფორმაციას არ მიაკუთვნებს აბსოლუტურად დაცულ უფლებათა სფეროს; არ ითვალისწინებს განსხვავებულ მიდგომებს პირად ცხოვრებაში შემავალი ინფორმაციის დაცვის ხარისხის თვალსაზრისით აღნიშნული დაყოფის შესაბამისად. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას. კანონმდებლობა კრძალავს მხოლოდ თვითნებურ და უკანონო შებლუდვას პროცესის ნებისმიერი მონაწილის, მათ შორის დაცვის მხარის, დამარალებულის თუ მოწმის მხრიდან და ითვალისწინებს საპროცესო გარანტიას მის დასაცავად: უფლების შებლუდვის განსაკუთრებული წესის დადგენის და აღნიშნული წესის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად აღიარების სახით; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10/06/2009 წლის განჩინება N458, II-4.

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 29/02/2012 წლის გადაწყვეტილება N484, II-2.

უფლების ხელყოფისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების გზით.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ეხება პირადი ხასიათის ინფორმაციის და პერსონალური მონაცემების შენახვის/დამალვის შესაძლებლობას სხვებისგან, ხოლო კონფიდენციალურობა – იმ უწყების საქმიანობას, რომელმაც შეაგროვა აღნიშნული მონაცემები სხვა პირებისგან (ფიზიკური და იურიდიული პირებისგან) – რისთვის, როგორ, რა მოცულობით და რამდენი ხნის განმავლობაში დაიშვება პერსონალური ინფორმაციის შეგროვება-გამოყენება<sup>4</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხ.4.3.) ითვალისწინებს იძულების გამოყენების აკრძალვას. იძულების ცნება (მოცემულია სსკ 150-ე (მუქარა – 151-ე მუხლი) მუხლში და გულისხმობს ფიზიკურ და ფსიქიკურ იძულებას. სუბიექტი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი პირი – როგორც პროცესის მწარმოებელი ორგანო /თანამდებობის პირი, მისი უშუალო ხელმძღვანელი ან ზემდგომი, ასევე ნებისმიერი გარეშე პირი (მაგალითად, ბრალდებული /დაზარალებული, მათი ახლობელი). საინტერესოა, თუ რა ფარგლებს მოიცავს - „პირადი ცხოვრება“. საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო შეთანხმებებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მოცემული ნორმები, იცავენ ზოგადად „პირად სფეროს“. საინტერესოა, რითი შემოიფარგლება პირადი სფერო? კონსტიტუციიდან ჩანს, რომ ზოგადად არსებობს „დაცული სფერო“, თუმცა მასში შეიძლება მოვიაზროთ რამდენიმე ნაწილი. ციტირებული ნორმებიდან, ეს შეიძლება პირობითად სამ ნაწილად დავყოთ:

1. პირადი ცხოვრება;
2. მიმოწერის ხელშეუხებლობა;

---

<sup>4</sup> სსსკ კომენტარი., 2015 წლის მდგომარეობით, ავტ.კოლ. თბ. 2015., 45

### 3. საცხოვრებლის ხელშეუხებლობა.

„პირადი ცხოვრება“ - ძალიან საკამათო და ბუნდოვანი, თითქმის არაფრის მოქმელი ტერმინია. სწორედ მისი ბუნდოვანება წარმოადგენს დავის არსს. სად გადის ზღვარი პირად სფეროსა და საჯარო სფეროს შორის, როგორ შეიძლება მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა? პირადი ცხოვრების ზუსტი დეფინიცია არ გვაქვს მოცემული (სრულიად მართებულად). მისი განსაზღვრის შესახებ არსებობს გარკვეული „მითითებები“ სხვადასხვა სასამართლო პრაქტიკიდან. ერთ-ერთ სასამართლო დავაზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრება“ ფართო ცნებაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრას<sup>5</sup>.

იურიდიულ დოქტრინაში, პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებით, საუბარია რამდენიმე ელემენტის ერთობლიობაზე:

1. პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობაზე;
2. სახელმწიფოს მიერ პირადი მონაცემების შეგროვებასა და შენახვაზე, პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე;
3. სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებაზე;
4. სახელებზე.

პირადი ცხოვრება არის დაცული სიკეთე, რადგან ის წარმოშობს ისეთ მოთხოვნებს, როგორცაა ინდივიდუალური იდენტობისა და თვითგანხორციელების განვითარების, ავტონომიურ ურთიერთობათა სივრცეში დაცვის მოთხოვნები. ამასთან, პირად სფეროში მოიაზრებენ ავტონომიასა და ადამიანის ღირსების დაცვას შორის შუალედსაც. ამდენად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ რა მოცულობითა და ფორმითაა დაცული პირადი ცხოვრება საქართველოს კანონმდებლობაში. აღნიშნული საჭიროებს დაცვის სამართლებრივ საშუალებათა

---

<sup>5</sup>საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ავტ. კოლ., თბ., 2005., 123

სისტემის ჩამოყალიბებას, რათა დადგინდეს კერძო სფეროს ნიშნები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოში პირადი ცხოვრება დაცულია როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის ნორმებით. იგი კომპლექსური სამართლებრივი დაცვის ობიექტია<sup>6</sup>.

კერძო სფეროს დაცვის სამართლებრივ საშუალებათა სისტემა საქართველოს სამართლებრივი და თვით პირადი სფეროს დაცვის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება ამგვარად დალაგდეს:

1. ძირითადი კანონი;
2. კანონები და
3. სასამართლო პრაქტიკა

მიზანშეწონილია საქართველოს კანონმდებლობაში კერძო ცხოვრების დაცვის თვალსაზრისით ძირითად კანონად განისაზღვროს კონსტიტუცია, ვინაიდან ის საფუძვლად უდევს პირადი ცხოვრების დაცვის მთელ სისტემას. ამასთან, ძირითადი კანონი ადგენს პირადი სფეროს დაცვის ეროვნული სისტემის მიზნებსა და სტრუქტურას. კანონებში მოიაზრება (დარგობრივი) საჯარო და კერძოსამართლებრივი კანონები. საჯარო სამართლის დარგებიდან პირადი სფერო დაცულია სისხლის, ადმინისტრაციული, საგადასახადო, საპროცესო კანონმდებლობით. რაც შეეხება კერძო სამართალს, პირადი ცხოვრების ცალკეული ელემენტები გათვალისწინებულია სამოქალაქო, საავტორო, ჯანდაცვის, სანოტარო სამართალში. ანგარიშგასაწევია სასამართლო პრაქტიკაც, რომელშიც საქართველოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა უნდა იგულისხმებოდეს. ცალკე უნდა შევჩერდეთ საერთაშორისო კონვენციების ადგილზე ქართულ სამართლებრივ სივრცეში. საყურადღებოა პირადი ცხოვრების დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები. საქართველოს

---

<sup>6</sup> მ. ცაცანაშვილი, ინფორმაციული სამართალი, თბ., 2004., 110

კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია პიროვნების თავისუფალი განვითარება, რომელიც ამოსავალია პირადი ცხოვრების არსის განსასაზღვრად. კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით. მართალია, აქ გვხვდება ტერმინი “პირადი ცხოვრება,” მაგრამ მასში კერძო სფეროს გარკვეული გამოვლინებანია მხოლოდ ჩადებული: თითოეული პირის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. ეს, ალბათ, ფართოდ უნდა იქნეს გაგებული და უნდა მოიაზრებოდეს ნეგატიურ-პოზიტიური ვალდებულებანი<sup>7</sup>. ამდენად, პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია თავისუფლებასა და ხელშეუხებლობასთან, რომლის დაცვისათვის ამოსავალი უნდა იყოს კონსტიტუციური დებულება. სსკ-ის მე-18 მუხლში მოცემულ პირად ხელშეუხებლობაში მოიაზრება თავისუფლების ხელშეუვალობა, თავისუფლების აღკვეთის ან მისი სხვაგვარად შეზღუდვის დაუშვებლობა<sup>8</sup>.

აუცილებელია, გამოიკვეთოს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების, როგორც არამატერიალური უფლების, მნიშვნელობა კერძოსამართლებრივი დაცვის ხერხების გაფართოების გზით. პირადი ცხოვრება ასახვას ჰპოვებს ასევე სქესის მიუხედავად კანონის წინაშე ადამიანების თანასწორობაში (კონსტიტუციის მე-14 მუხლი), მორალურ და ფიზიკურ ხელშეუხებლობაში (კონსტიტუციის მე-17 მუხლი), საოჯახო (საქორწინო) ცხოვრებაში (კონსტიტუციის 36-ე მუხლი). კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი იცავს ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებულ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციას, გარდა კანონით გათვალისწინ-

<sup>7</sup> კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბ., ევროსაბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში., 2005., 203

<sup>8</sup> შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003., 178-179

ნებული შემთხვევებისა, როცა გაცნობა აუცილებელია ლეგიტიმური მიზნებისთვის. ამდენად, სამართლებრივი საფუძვლები გაუჩნდა თვითგამორკვევის უფლებასაც, როგორც კერძო ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლენის ფორმას. ამასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები განეკუთვნება “განსაკუთრებით მგრძობიარე” პერსონალურ მონაცემებს, ქონებრივი და სხვა კერძო საკითხი შედის “მგრძობიარე” პერსონალურ მონაცემთა წრეში. ამდენად, კანონმდებელმა კონსტიტუციაში გაიზიარა პირადი ცხოვრების ფართო გაგება, თუმცა არც მისი გამოვლინებანი დარჩენია ყურადღების მიღმა. აქ მნიშვნელოვანია, რომ პიროვნების დაცვა მხოლოდ მაშინაა ეფექტურად უზრუნველყოფილი, თუ განსაკუთრებული პიროვნული უფლებების გვერდით არსებობს ზოგადი პიროვნული უფლება ზოგადი ფორმით. პიროვნების დაცვის ეს სისტემა არის საქართველოს კონსტიტუციაშიც გაზიარებული. როგორც ჩანს, გარკვეული პირადი უფლებები წარმოიშობა დაბადებით. მაგალითად, ჯანმრთელობაზე უფლება<sup>9</sup>. ამასთან, პირადი თავისუფლება მიზანმიმართულია ინდივიდუალობის განვითარებისკენ და წარმოადგენს სხეულებრივი, ფსიქიკური და სულიერი ურთიერთობის გამოვლინებას. ადამიანის თავისუფლება და ღირსება მიიჩნევა უზენაეს სამართლებრივ ღირებულებებად. ღირსება მთელი სამართლებრივი წესრიგის საფუძველია. ამასთან, პირადი საიდუმლოების ხელშეუხებლობის უფლება არის სულიერი თავისუფლების ბაზისი და შემადგენელი ნაწილი, ფართო გაგებით კი – წარმოდგენილი პირადი ან ინდივიდუალური თავისუფლების საფუძველი და შემადგენელი ნაწილი. პირადი თავისუფლების ძირითადი უფლება, როგორც კონსტიტუციური პრინციპი, უზრუნველყოფს ყველა თავისუფლებას, რომელიც ადამიანის პიროვნების განვითარების ელემენტარულ

---

<sup>9</sup> იქვე

გამოვლენას წარმოადგენს<sup>10</sup>. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ “ხელშეუხებლობისა” და “საიდუმლოების” სამართლებრივ ცნებებს შორის განსხვავება შეფარდებითია. ის, რაც არის ხელშეუხებელი, შედის საიდუმლოებაში; და პირიქით: საიდუმლო არის ხელშეუხებელი. ამასთან, არსებობს საიდუმლოების სხვადასხვა სახე: საეჭიმო, საადვოკატო, მიმოწერის, შვილად აყვანის და სხვა საიდუმლოებანი. შესაბამისად, ამ ფორმით შეიძლება პირადი ცხოვრება განიხილებოდეს, როგორც საიდუმლოებათა ერთობლიობა. აღნიშნული გაგებით შეიძლება გამოიყოს პირადი (რაც არავისთვის გაინდობა) და პროფესიული საიდუმლოება (თუ განსაზღვრული პროფესიის წარმომადგენლებს გაანდობენ რაიმეს უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დასაცავად). პირადი საიდუმლოებაა შემოქმედებისა და ურთიერთობის, საოჯახო და ინტიმური ურთიერთობების, საცხოვრებლის, დღიურების, პირადი ქაღალდების, საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციებისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოება. პროფესიული საიდუმლოება მოიცავს სამედიცინო, სასამართლო დაცვის, აღსარების, შვილად აყვანის, საგამოძიებო საქმიანობის, სანოტარო მოქმედებათა და სამოქალაქო მდგომარეობის ჩამწერი აქტების საიდუმლოებას. ამდენად, გარკვეული პირადი უფლებების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს გარიგება. მაგალითად, საადვოკატო საიდუმლოება<sup>11</sup>.

ამასთან, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებაში მოიაზრება ბინის, სახლის ან სამსახურებრივი შენობების მესაკუთრის უფლება, ოთახები თავისუფლად გამოიყენოს და განსაკუთრებულ შემთხვევაში საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე პირებს შესვლის ნება დართოს ან აუკრძალოს შესვლა. საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება იცავს კერძო საიდუმლოს. ამდენად,

<sup>10</sup> მ. ბიჭია., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (დისერტაცია) თბ. 2012., 51

<sup>11</sup> მ. ბიჭია პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (დისერტაცია) თბ. 2012., 51

საცხოვრებლის ხელშეუხებლობა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საცხოვრისში მიმდინარე ან არსებული მოვლენების საიდუმლოება. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივად არის დაცული პირი, რომლის საცხოვრებლის ხელშეუხებლობა მესამე პირების საშუალებით ხელყოფა (სსსკ მუხ.160). რაც შეეხება საფოსტო გზავნილების, სატელეგრაფო შეტყობინებებისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოებას, ისინი კერძო და საიდუმლო სფეროს განსაკუთრებული შემთხვევებია. საფოსტო გზავნილების, სატელეგრაფო შეტყობინებებისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოება ემსახურება პირად თავისუფლებას ფართო გაგებით და ის სამართლით დაცულ თავისუფლებად ითვლება. აქ მნიშვნელოვანია დანესებულების შინაგანანგის დებულებებით სატელეფონო საიდუმლოების ელექტრონული მისამართის კონტროლი, რომელიც მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ვინმე კომერციული მიზნებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურებას იყენებს. მიმონერისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოება არის დაცული საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით. ამ სიკეთის დაცვის მექანიზმები კი დაზუსტებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. ამასთან, ინდივიდუალური ინტერესი იხევს უკან სამართლის განხორციელებისა და სამართლის პოვნის სახელმწიფო ინტერესთან შედარებით, ცხადია, მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემზღულ ფარგლებში. სამართლით დაცული თავისუფლებები შეუზღუდავი არაა. სამართლით დაცული თავისუფლებების შემზღუდვები იწყება იქ, სადაც საქმე შეეხება სხვების კანონიერ ინტერესებს. ამდენად, ამ თავისუფლებათა ზღვარი გადის საჯარო ინტერესებსა და პროპორციულობის პრინციპზე.

როგორც აღვნიშნეთ მე-20 მუხლში ჩამოთვლილია ადამიანის რამდენიმე სხვადასხვა სიკეთე, რომელთა დაცვა სწორედ კონსტიტუციის ამ მუხლით ხდება. მათგან პირველი არის „პირადი ცხოვრება“, რომელსაც ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პირადი ცხოვრების პატივისცემის სხვა



ასპექტებთან შედარებით, ვინაიდან კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ჩამონათვალში ტერმინ „პირად ცხოვრებას“ სხვა სიკეთეებთან მიმართებაში გააჩნია ზოგადი მნიშვნელობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ „კონსტიტუციის ხსენებული დებულებით დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა ადამიანის პირადი საქმიანობის ადგილი, კერძო სფეროში განხორციელებული კომუნიკაცია და სხვა.“

საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“ სასამართლომ აღნიშნა, რომ „კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტში პირადი ცხოვრების მთელ რიგ უფლებრივ კომპონენტებთან ერთად თავშივე მოხსენიებულია ზოგადად „პირადი ცხოვრება,“ რაც თითქოს იმის ვარაუდს ქმნის, რომ ეს ცნება გულისხმობს პირადი ცხოვრების მთელ სფეროს ამომწურავად. შესაბამისად, მე-20 მუხლი მოიცავს პირადი ცხოვრებას ის ყველა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის იმათაც, რომელთა დასაცავადაც კონსტიტუციაში არის სხვა სპეციალური ნორმები.

ბუნებრივია, იმის უგულებელყოფა არ შეიძლება, რომ პირადი ცხოვრების ნებისმიერი კომპონენტის ხელყოფისას ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ზოგადად, თუმცა ეს გარემოება არ იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ ნებისმიერი ასეთი უფლებრივი კომპონენტის დარღვევით, აუცილებლად ირღვევა მე-20 მუხლი. ამ დროს გასათვალისწინებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეგულირების კონსტიტუციაში მოცემული კონსტრუქცია. ამის გათვალისწინების გარეშე მაღალია პირადი ცხოვრების

ცალკეული უფლებრივი კომპონენტის შინაარსის, მათში დასაშვები ჩარევის ფარგლების არასწორი განმარტების საფრთხე<sup>12</sup>.”

აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ პირადი ცხოვრების გარკვეული ასპექტები გვხვდება არა მხოლოდ კონსტიტუციის მე-20 მუხლში, არამედ სხვა ნორმებშიც. თუმცა პირადი ცხოვრების იმ ასპექტებს, რომლებიც სხვა მუხლებშია გაბნეული (და არა მე-20 მუხლში), გააჩნიათ დაცვის განსხვავებული მექანიზმები, ასევე განსხვავებული ჩარევის საფუძვლები და ფარგლები. შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც მათ მიმართ სხვაგვარია. ამრიგად, კონსტიტუციაში ნახსენები „პირადი ცხოვრება“ მოიცავს ყველა სხვა კომპონენტს, რაც პირდაპირ არ არის მოხსენიებული მე-20 მუხლის პირველ პუნქტში. ზოგადი ხასიათის მქონე ტერმინ „პირად ცხოვრებას“ სხვა დატვირთვაც გააჩნია. საზოგადოების განვითარების კვალობაზე ჩნდება ადამიანური ცხოვრების ახალი იზოლირებული ინსტიტუტები. ამიტომ ყველა ასეთი ახალი ინსტიტუცია მოექცევა ტერმინ „პირადი ცხოვრების“ ცნებაში<sup>13</sup>.

## 1.2 მიმონერის, სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალების ხელშეუხებლობის უფლება

„პირადი ცხოვრების“ გარდა, კონსტიტუციის მე-20 მუხლში ასევე ნახსენებია საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით, ასევე ასეთი ტექნიკური საშუალებებით შეტყობინებების მიღება. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ამ უფლებასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა:

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.13;

<sup>13</sup> ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013., 90;

„სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში დაცულია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ურთიერთობა ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული და ჩვეულებრივი ფოსტის, პეიჯერისა და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით. კონსტიტუციის მიზანი ამ შემთხვევაში არის დაიცვას პირებს შორის ნებისმიერი საშუალებით საუბრისა და მიმოწერის შესაძლებლობა. ამ უფლების უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს ზოგადად ეკრძალება, გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრებისა და შეტყობინებების შინაარსს, აგრეთვე, დააწესოს კონტროლი, ვისთან და რა ინტენსივობით შედგა ასეთი ურთიერთობები.<sup>14</sup> ალნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში სხვადასხვა დროს გასაჩივრდა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის სხვადასხვა ნორმები. მათგან ორი სარჩელი სასამართლომ დააკმაყოფილა, ერთი კი არ მიიღო არსებითად განსახილველად. სამივე საქმეში მოსარჩელები ასაჩივრებდნენ ალნიშნული კანონის იმ ნორმებს და დებულებებს/წინადადებებს, რომლებიც მათი აზრით წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლთან და წარმოადგენდა უფლებაში უხეშ ჩარევას, რომელსაც არ ჰქონდა გამართლება. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ალნიშნულ ასპექტთან დაკავშირებით განსახილველია ასევე ინტერნეტის მნიშვნელობა, რომელიც „თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის ძალიან დიდია და

---

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.6;

ყოველდღიურად მზარდი. ის ადამიანთა კომუნიკაციის, მოსაზრებების გაცვლის, გაზიარების ძალზე ეფექტური და მოსახერხებელი საშუალებაა.<sup>15</sup>“

სწორედ ამიტომ ინტერნეტთან დაკავშირებით პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის კონტექსტში სასამართლომ სპეციალური განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ „ინტერნეტი არის ერთ-ერთი შესაძლებლობა ასეთი საჯარო ან კერძო ურთიერთობებისთვის. ამიტომ, თუ არ იქნება ინფორმაციის დაცულობის და პირთა ანონიმურობის დაცვის შესაბამისი გარანტია, ეს კითხვის ქვეშ დააყენებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამასთან, დააბრკოლებს, გაართულებს ამ გზით კომუნიკაციას ნებისმიერ სფეროში. რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუშლის დემოკრატიული პროცესების განვითარებას.“<sup>16</sup> . ამრიგად ინტერნეტით კომუნიკაცია ექცევა ადამიანის პირადი ჩანაწერის, მიმონერის, ტექნიკური საშუალებებით საუბრისა და ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინების უფლებით დაცულ სფეროში.

### 1.3 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა კონსტიტუციით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე

არაერთი ძირითადი უფლების მსგავსად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვაც თავად კონსტიტუციით არის გათვალისწინებული, ამასთან კონკრეტულადაა დადგენილი სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში ჩარევის დასაშვები ფარგლები. ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვან

---

<sup>15</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.5;

<sup>16</sup> იქვე, II.3.6;

შეზღუდვას წარმოადგენს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა. ეს უფლება ერთ-ერთი თვალსაჩინოა იმ უფლებებს შორის, რომელთა შინაარსის განსაზღვრისას ხელისუფლება დემოკრატიული და პოლიციური სახელმწიფოების ზღვარზე გადის. ზოგადად, ადამიანებზე ფარული დაკვირვება პოლიციური სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი. იმავდროულად, ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ადამიანთა უფლებების ეფექტურ დაცვას, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ზუსტად ამ საჯარო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება დასახელებული უფლების შეზღუდვა. ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებაა, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა აღიკვეთოს სერიოზული საფრთხეები, რომლებმაც შეიძლება დემოკრატიული ინსტიტუტების დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ამიტომ ამ საფრთხეებთან ბრძოლისთვის სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს, მათ შორის, იმის შესაძლებლობაც, რომ განახორციელოს ფარული კონტროლი, თვალთვალი პირებზე (პირთა ჯგუფზე), რომელთაგანაც ეს საფრთხეები მომდინარეობს. ასეთ დროს ზუსტად უფლებაში ჩარევის ფარული ხასიათი უზრუნველყოფს საჯარო ინტერესის დაცვის ეფექტურობას“. თუმცა, იმავდროულად, „...სახელმწიფოს არა აქვს უფლება, სერიოზულ საფრთხესთან ბრძოლის მოტივით მიიღოს ნებისმიერი ზომები, რომლებსაც ის შესაბამისად და ადეკვატურად მიიჩნევს. უფლებაში ჩარევა, მისი ფარული ხასიათიდან გამომდინარე, აჩენს უფლებამოსილების გადამეტების, ბოროტად გამოყენების რისკს, რასაც შესაძლოა, მავნე შედეგები მოჰყვეს მთლიანად დემოკრატიული საზოგადოებისთვის. შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლებაში ჩარევა შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ მაშინ, თუ კანონმდებლობა უზრუნველყოფილი იქნება ძალაუფლების ბოროტად

გამოყენებისაგან დაცვის ეფექტური მექანიზმებით. სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს აყენებს ფარული კონტროლის რისკის ქვეშ, არ უნდა სარგებლობდეს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუბალანსებელმა კანონმდებლობამ, დემოკრატიის დაცვის მოტივით, შესაძლოა თავად დემოკრატია გახადოს ძალზე მყიფე და სათუო<sup>17</sup>. მაშასადამე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფლებათა უმრავლესობის შეზღუდვა აუცდენელია. თუმცა, იმავდროულად, დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს მიზანი, ინტერესი, რომლის მიღწევის საპირწონე ამა თუ იმ უფლების დარღვევაა. არცერთი ინტერესის მიღწევა არ შეიძლება მეორე ინტერესის ხელყოფის ხარჯზე. ამ დროს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი და, იმავდროულად, დემოკრატიულობის ხარისხი სწორედ იმის მიხედვით გაიზომება, რამდენად შეძლებს ის შეპირისპირებული ინტერესების სამართლიან დაბალანსებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფისას უნდა შეძლოს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება, მხოლოდ ასეა შესაძლებელი როგორც უფლებით სარგებლობის, ისე კონკრეტული საჯარო მიზნების მიღწევა. “სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია იმის მოლოდინი, რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთმიმართება სამართლიანი იქნება. რაც უფრო მეტად ერევა ხელისუფლება ადამიანის თავისუფლებაში, მით მალაღია მოთხოვნები ჩარევის გამართლებისათვის”<sup>18</sup>.

„ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები ერთნაირად მოითხოვს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესების რეალიზაციის უზრუნველყოფას, მათ

<sup>17</sup> ქ. ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში. თბ., 2013., 20

<sup>18</sup> იქვე., 21

შორის გონივრული, თანაზომიერი და პროპორციული ბალანსის დაცვას<sup>19</sup>. ამ თვალსაზრისით, დიდია თავად საკონსტიტუციო სასამართლოს პასუხისმგებლობაც, მან თითოეული ნორმის შინაარსისა და ფარგლების განმარტებისას ზუსტად უნდა შეძლოს ინტერესთა კონსტიტუციური ბალანსის, წონასწორობის უზურნველყოფა, დაცვა. მე-20 მუხლზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა და მისი შეზღუდვა. თუმცა სანამ უშუალოდ ამ უფლების შეზღუდვის ფარგლებზე ვისაუბრებდეთ ყურადსაღებია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, ზოგადად ადამიანის უფლებებში ჩარევის ფარგლებში შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „ნებისმიერი კონსტიტუციური უფლების შინაარსის განსაზღვრისას, არსებითი მნიშვნელობა აქვს უფლებაში ჩარევის ფორმასა და ფარგლებს. ყველა უფლებაში ჩარევა ვერ იქნება ერთნაირი, რაც ერთმნიშვნელოვნად იკითხება კიდევ კონსტიტუციის მეორე თავიდან. ბუნებრივია, ცალკეულ უფლებებში ჩარევის განსხვავებული ფარგლები არ მიუთითებს ამა თუ იმ უფლების უფრო მეტ მნიშვნელობაზე სხვებთან შედარებით. უფლებაში ჩარევის განსხვავებული ფორმა, შინაარსი თუ ინტენსივობა მიუთითებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ საჯარო ინტერესზე, რომლის მისაღწევადაც აუცილებელია უფლებაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევა.“<sup>20</sup>

რაც შეეხება თავად მე-20 მუხლში ჩამოთვლილ უფლებების შეზღუდვას, როგორც ამავე მუხლის პირველ პუნქტშია მითითებული, მათი შეზღუდვა

---

<sup>19</sup> იქვე

<sup>20</sup> პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ( საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი), თბ., 2014., 10

შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ასეთი გადაწყვეტილების გარეშე კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

უფლების შეზღუდვისათვის დაწესებული მოსამართლის ბრძანების არსებობა დაფუძნებულია იმ გარემოებაზე, რომ სათანადო კონტროლის უზრუნველყოფა მოხდეს დამოუკიდებელი და ნეიტრალური ინსტიტუტის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს რომელიმე მხარის ინტერესებს და გარედან აფასებს იმას, თუ რამდენად აუცილებელი და მიზანშეწონილია კონკრეტულ შემთხვევაში პირისათვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა. ასეთი ინსტიტუტს კი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს სასამართლო, როგორც „არაპოლიტიკური ხელისუფლება“<sup>21</sup>. „თავისთავად სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა აპრიორი უფლებაში თანაბომიერ ჩარევას არ გულისხმობს. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე უფლების პროპორციული შეზღუდვა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნას“ „იმავედროულად, კონსტიტუცია სასამართლო გადაწყვეტილებაში გულისხმობს მხოლოდ დასაბუთებულ და სწორ გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, ამის შესაძლებლობას, პირველ რიგში, ისევ კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს – ის იმდენად კონკრეტული, მკაფიო და ნათელი უნდა იყოს, რომ მოსამართლეს ჰქონდეს შესაძლებლობა მისი სწორად გამოყენებისა. გარდა ამისა, კანონმდებლობაში უნდა იყოს ამომწურავი პასუხი, რა საკითხებს უნდა მოიცავდეს თავად გადაწყვეტილების შინაარსი.“<sup>22</sup>

---

<sup>21</sup> იქვე, 11

<sup>22</sup> პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ( საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი), თბ., 2014., 11



რამდენად პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ ამ მოთხოვნებს ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის დღევანდელი რედაქცია ეს უკვე ცალკე საკითხია. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნული უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობის განსაზღვრისათვის მოსამართლის როლის ასეთი დახასიათებიდან გამომდინარე, სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი, რომელიც პროკურორს ანიჭებდა დისკრეციას კიდევ ექვსი თვით გაგრძელებინა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა.

„მაშასადამე, უფლების შეზღუდვა მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა როგორც თავად უფლების დაცვის, ისე კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებისათვის.“<sup>23</sup>

სასამართლოს ბრძანების გარდა, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს შეზღუდვის ისეთ საფუძველსაც, რომელსაც ასეთი ბრძანება არ სჭირდება. თუ როგორ უნდა მოხდეს „გადაუდებელი აუცილებლობის“ რეგლამენტაცია, უნდა განსაზღვროს კანონმდებელმა, ამავრდოულად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმასაც, რომ კანონში მკაცრად უნდა იყოს განწერილი ყველა ის ნიშანი, რომელიც ამ ცნებაში შეიძლება მოექცეს, ხოლო თუ რაიმე კონკრეტული გარემოება კანონით განწერილი არ არის, ის არ უნდა დაედოს საფუძველად უფლების შეზღუდვას „გადაუდებელი აუცილებლობის“ ცნების ქვეშ. სასამართლო აღნიშნავს: „გადაუდებელი აუცილებლობა“ გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი,

---

<sup>23</sup> იქვე

მყისიერი შემლუდვის გარეშე. ამასთან, ძალზე მკაფიო, ნათელი და ცალსახა უნდა იყოს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში საჯარო ინტერესის სხვაგვარად დაცვის მცირედი ალბათობაც არ არსებობს.

გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღუდა მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას.“

გადაუდებელ აუცილებლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ასპექტის აღნიშვნა, სასამართლომ საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე- ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მსჯელობისას, აღნიშნა, რომ „გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა შეიძლება გაირკვეს ნორმის ანალიზის, მისი განმარტების შედეგად.

ამისათვის კანონმდებლის ნება ამა თუ იმ გარემოების „გადაუდებელ აუცილებლობად“ მიჩნევის შესახებ, საკმარისად მკაფიო უნდა იყოს, რათა გამოირიცხოს სამართალშემფარდებლის მიერ მისი არასწორი ინტერპრეტაცია და თვითნებობის ალბათობა, რისი კანონზომიერი შედეგიც იქნება უფლების დარღვევა. ამასთან, კანონმდებელიც არ არის აბსოლუტურად თავისუფალი ამ ცნებისთვის კონკრეტული შინაარსის მიცემისას. ამ საკითხზე გადანწყვეტილების მიღების საზომს წარმოადგენს კონსტიტუცია, ხოლო ასეთი გადანწყვეტილების შემთავსებელს - საკონსტიტუციო სასამართლო<sup>24</sup>“.

ამრიგად, აღნიშნული განმარტებით სასამართლომ გამოკვეთა საკუთარი როლიც პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებით, ამავდროულად საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადება ცხადჰყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ანიჭებს იგი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის

---

<sup>24</sup> პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ( საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი) 2014., 10

უფლებებში ჩარევის შეზღუდვის ფარგლებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების შემზღუდველი ნორმებისადმი მოთხოვნები, ზოგადად, მათ ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობასთან დაკავშირებით, გაცილებით მკაცრია, ვიდრე ჩვეულებრივ გამოიყენება ამა თუ იმ ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას. ეს რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის უფლებებში ჩარევის ბუნებით, ასევე „მესამე პირების“ ინტერესების ადეკვატური დაცვის სირთულით და იმ ფაქტორით, რომ პირი არ მონაწილეობს იმ სასამართლო პროცესში, სადაც უნდა გადაწყდეს მის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების აუცილებლობის საკითხი<sup>25</sup>.

### 1.3.1 ჩარევის ფორმალური და მატერიალური საფუძვლები

ძირითადი უფლების დაცვის სფეროში სახელმწიფოს ჩარევის ფაქტის დადგენა კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელოვანი საფუძველია. ამიტომ უნდა გაირკვეს, თუ რა შემთხვევაში აქვს ძირითად უფლებებში ჩარევას ადგილი. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი თავისებურებები იკვეთება საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში. ზოგადად, განასხვავებენ ჩარევის კლასიკურ და თანამედროვე გაგებას.<sup>26</sup> კლასიკური გაგების თანახმად, ძირითადი უფლების დაცვის სფეროში ჩარევა მაშინაა თვალსაჩინო, როდესაც სამართლებრივი აქტი უშუალოდ, იმპერატიულად და გამიზნულად ხელყოფს ძირითად უფლებას. გამოყოფენ აქტის ცნების ოთხ

---

<sup>25</sup> იქვე., 11

<sup>26</sup> „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, თბ., 2013., 21

კატეგორიას: (1) სამართლებრივი აქტი – კანონთან ერთად, მოიცავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და სასამართლოს გადაწყვეტილებასაც; (2) უშუალო აქტი – პირდაპირ იწვევს სამართლებრივ შედეგს; (3) იმპერატიული აქტი – ადგენს, აწესებს ან ცვლის სამართლებრივ ურთიერთობებს; (4) გამიზნული აქტი – მიმართული გამიზნულად კონკრეტული სამართლებრივი შედეგისაკენ.

ჩარევის თანამედროვე განმარტებას, კლასიკურისგან განსხვავებით, უფრო ფართო გაგება უღევს საფუძვლად. ის, სამართლებრივ აქტებთან ერთად, სახელმწიფოს ყველა ქმედებას მოიცავს, მათ შორის, რეალაქტს, ანუ სახელმწიფოს ხელისუფლების უბრალო ქმედებასაც, რომელიც სამართლებრივ შედეგზე არ არის ორიენტირებული (მაგ., ვიდეოკონტროლი); ჩარევის აღნიშნული ფართო გაგება ისეთ სამართლებრივ აქტსაც მოიცავს, რომლის ადრესატი, მართალია, სუბიექტი არ არის, მაგრამ ამ აქტმა ირიბად შელახა მისი უფლება (მაგ., ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვა).

საქართველოს კონსტიტუცია ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში ჩარევის სამ ფორმალურ საფუძველს იცნობს: კანონის კონკრეტული დათქმა. ამ შემთხვევაში, კონსტიტუცია ძირითად უფლებაში ჩარევისთვის მიუთითებს კანონზე და, ამასთან, უფლების შეზღუდვის კონკრეტულ პირობასაც (ან პირობებსაც) აყალიბებს. კანონის კონკრეტული დათქმის საფუძველზე ძირითად უფლებაში ჩარევა იქნება ფორმალურად კონსტიტუციური, თუ იგი უშუალოდ კონსტიტუციის მიერ მითითებული კანონით არის გათვალისწინებული (მაგალითები: მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები: „კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“; 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის... კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში...“; 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი: „...კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის...“; 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი:

„...კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით...“ და სხვ.). უშუალო კონსტიტუციური დათქმა. ამ შემთხვევაში, კონსტიტუცია კანონზე მითითების გარეშე თავად განსაზღვრავს ძირითად უფლებაში ჩარევის კონკრეტულ წინაპირობებს. უშუალო კონსტიტუციური დათქმის საფუძველზე ძირითად უფლებაში ჩარევა იქნება ფორმალურად კონსტიტუციური, თუ იგი კონსტიტუციაში უშუალოდ განსაზღვრულ წინაპირობებს აკმაყოფილებს (მაგალითები: მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი: „...თუ...ლახავს სხვათა უფლებებს“; 25-ე მუხლის პირველი პუნქტი; 26 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები და სხვ.). შიდაკონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლები. ამ შემთხვევაში, კონსტიტუცია ძირითად უფლებაში ჩარევისთვის არ იცნობს კონკრეტულ დათქმას, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული უფლებაში ჩარევა შიდაკონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლებით შეიძლება განხორციელდეს. შიდაკონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლებით ძირითად უფლებაში ჩარევა იქნება ფორმალურად კონსტიტუციური, თუ იგი ამ საფუძვლების კონკრეტიზაციას წარმოადგენს (მაგალითი: ასეთი სახის ნორმა კონსტიტუციაში მხოლოდ მე-16 მუხლში გვხვდება). შიდაკონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლები თავად კონსტიტუციის შინაარსიდან გამომდინარეობს – ის უზრუნველყოფს სხვადასხვა ინტერესთა თანაბრობიერ და განონასწორებულ მონესრიგებას. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია უფლების შეზღუდვისთვის კონკრეტულ დათქმას არ იცნობს, ის, სხვისი ან საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მაინც ექვემდებარება შეზღუდვას (კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი). გამონაკლისია ადამინის ღირსების ძირითადი უფლება, რომლის შეზღუდვა აკრძალულია. სამივე ფორმალური საფუძველი, საბოლოო ჯამში, კანონმდებელს ანიჭებს ძირითადი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობას. სასამართლო გადაწყვეტილების დათქმაც, რომელიც

ცალკეულ მუხლებში გვხვდება, გულისხმობს კანონის საფუძველზე მიღებულ გადანყვეტილებას<sup>27</sup>.

ჩარევის ზღვარს თავად კონსტიტუცია ადგენს. ძირითად უფლებებში ფორმალური საფუძვლებით გამართლებული ჩარევა, მატერიალურადაც, შინაარსობრივადაც უნდა იყოს გამართლებული, ანუ მოქცეული ჩარევის ზღვარში.

კანონით უფლების შეზღუდვის ფაქტი ვერ იქნება ამ შეზღუდვის კონსტიტუციურობის განმსაზღვრელი, მნიშვნელოვანია, რომ ის შინაარსობრივად იყოს კონსტიტუციის შესაბამისი. ჩარევის ზღვარი ძირითადი უფლებების სამართლებრივი კონტროლის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ყველა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა ჩარევის ზღვრის დაცვით უნდა შემოწმდეს.

ჩარევის ზღვარი არ არის აბსტრაქტული კატეგორია. ის უშუალო კონსტიტუციური ზღვარია.<sup>28</sup> და, შესაბამისად, ზოგიერთ ძირითად უფლებებში უშუალოდაა ფორმულირებული. მაგალითად, უშუალო კონსტიტუციური ზღვარია: სიკვდილით დასჯის აკრძალვა სიცოცხლის ძირითადი უფლებისთვის (მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი); საკუთრების უფლების არსის გარანტია (21-ე მუხლის მე-2 პუნქტი); ცენზურის აკრძალვა (24-ე მუხლის მე-2 პუნქტი) და სხვ.

ჩარევის ზღვარი, უმთავრესად, გამოიხატება კონკრეტულ პრინციპებში, რომლებსაც ნორმატიული ძალა აქვთ. ეს პრინციპებია: თანაზომიერება და განსაზღვრულობა. ისინი კონსტიტუციაში ცალკე ნორმებად ჩამოყალიბებული არაა, მაგრამ გამომდინარეობენ კონსტიტუციაში განმტკიცებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და ძირითადი უფლებების არსიდან.

<sup>27</sup> „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, თბ., 2013., 22-23

<sup>28</sup> ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი., 2010., 89.

თანაზომიერების პრინციპი უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, პირის თავისუფლების, და მეორე მხრივ, თავისუფლების შეზღუდვის განონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და ძირითადი უფლებებში ზომაზე მეტად ჩარევას კრძალავს.<sup>29</sup> არ შეიძლება მოქალაქის ინდივიდუალური სფეროს იმაზე მეტი მოცულობით შეზღუდვა, ვიდრე ეს აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ თანაზომიერების პრინციპის შინაარსი, სამართლის ნორმისგან განსხვავებით, მოკლებულია კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას, შეიძლება მისი ოთხი სტრუქტურული ელემენტის გამოყოფა: ლეგიტიმური მიზანი, გამოსადეგობა, აუცილებლობა და პროპორციულობა.

თანაზომიერების პრინციპის თანახმად, ძირითად უფლებაში ჩარევა, პირველ რიგში, უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმურ მიზანს.

შემდეგ ეტაპზე კი, თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ ნორმატიული აქტით შერჩეული საშუალება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოსადეგი იყოს. ე.ი. საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევას ართულებს, დაუშვებელია და, შესაბამისად, არაკონსტიტუციური. მაგალითად, ნორმატიული აქტის საფუძველზე ტყის განადგურების შეჩერებისა და მისი შენარჩუნების მიზნით სატრანსპორტო საშუალებებისათვის სიჩქარის შეზღუდვა მაშინ იქნება დასაშვები და გამოსადეგი, თუ სიჩქარის შეზღუდვით გამონვეული გამონაბოლქვის შემცირება უშუალოდ იქნება დაკავშირებული ტყის შენარჩუნებასთან. ამ შემთხვევაში, ტრანსპორტისთვის სიჩქარის შეზღუდვის მოთხოვნა წარმოადგენს საშუალებას, ხოლო მიზანს – ეკოლოგიური ინტერესი, კერძოდ, ტყის შენარჩუნება.

თანაზომიერების პრინციპის მესამე ელემენტის თანახმად, ძირითად უფლებაში ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად.

---

<sup>29</sup>„საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, თბ., 2013., 24

აუცილებელია ის საშუალება, რომელიც სხვადასხვა ალტერნატიული საშუალებიდან ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანია, როგორც უფლების სუბიექტისთვის, ისე საზოგადოებისთვის. ზემოთ აღნიშნული მაგალითის მიხედვით, სატრანსპორტო საშუალებებისათვის სიჩქარის შეზღუდვა მაშინ არ იქნება აუცილებელი, თუ ახალი მცენარეების დარგვით ისედაც შესაძლებელია ტყის შენარჩუნება. ამ შემთხვევაში პრობლემის მოგვარება ისეთი საშუალებითაა შესაძლებელი, რომელიც როგორც მოქალაქეს, ისე საზოგადოებას ყველაზე ნაკლებ ზიანს მოუტანს.

ამდენად, სატრანსპორტო საშუალებებისთვის სიჩქარის შეზღუდვა არ იქნება აუცილებელი ეკოლოგიური მიზნის მისაღწევად.

თანაზომიერების პრინციპის მეოთხე ელემენტი პროპორციულობაა. იგი განსაზღვრავს დამოკიდებულებას მიზანსა და საშუალებას შორის, კერძოდ კი ადგენს, იმყოფება თუ არა საშუალებით (ე.ი. ნორმატიული აქტით) გამოწვეული უფლების შეზღუდვა შეზღუდვის მიზანთან პროპორციულ, თანაზომიერ დამოკიდებულებაში. ამ თვალსაზრისით, შეზღუდული სიკეთისა და შეზღუდვის მიზნის შეფასებისას, გადამწყვეტია მათი შეპირისპირება, რამაც უნდა ცხადყო, რომ ერთი სიკეთე არ იქნება არაპროპორციულად, ცალმხრივად შეფასებული მეორე სიკეთის ხარჯზე. თანაზომიერების პრინციპი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ ძირითად უფლებაში ჩარევის ზღვარს აწესებს. ძირითადი უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით, მათი შებოჭვა, საბოლოო ჯამში, თანაზომიერების პრინციპით ხორციელდება.<sup>30</sup> ეს განსაკუთრებით ეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელიც ფორმალურადაა უფლებამოსილი შეზღუდოს ძირითადი უფლებები.

---

<sup>30</sup> ლ.იზორია, თანაზომიერების პრინციპი, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედ. კ.კორკელია), 2002., 43.



შეზღუდვის მატერიალური სისწორის კონსტიტუციური საზომი კი თანაზომირე ბის პრინციპია, რომელსაც, ძირითადი უფლებების კონსტიტუციური კონტროლის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ სახელმწიფოს მიერ ძირითად უფლებაში ჩარევა (ანუ სახელმწიფოს მირ გამოცემული ნორმატიული აქტი) თანაზომიერების პრინციპის ოთხივე ელემენტის მოთხოვნებს თანმიმდევრულად აკმაყოფილებს, მაშინ ამ ჩარევის კონსტიტუციურობაც უზრუნველყოფილია; ე.ი. აღნიშნული აქტი კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლების საფეხურზე, უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად დასაშვები, აუცილებელი, ანუ მინიმალური ზიანის მომტანი და პროპორციული, ანუ ჩარევით გამოწვეული ზიანისა და ჩარევის მიზნის თანაზომიერი შეფარდების გარანტი.

ჩარევის ფარგლების მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ნორმატიული აქტის განსაზღვრულობა. ზოგადად, თითოეული ნორმა კონკრეტული, გასაგები და წინასწარგანჭვრეტადი უნდა იყოს.<sup>31</sup> ნორმის ადრესატს უნდა შეეძლოს მისი შინაარსის ცალსახად გაგება, რათა მან იმოქმედოს ნორმის მოთხოვნის შესაბამისად.

ეს სამართალსუბიექტს სამართლებრივი უსაფრთხოების განცდას უყალიბებს, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ძირითად უფლებებთან დაკავშირებით, ნორმის განსაზღვრულობის მოთხოვნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კანონმდებელმა თავად უნდა განსაზღვროს ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონკრეტული მიზანი, შინაარსი და მოცულობა. კანონები, რომლებიც უშუალოდ ზღუდავენ ძირითად უფლებებს, ან ამის უფლებამოსილებას ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებენ, განსაკუთრებული კონკრეტულობითა და სიცხადით უნდა

---

<sup>31</sup> „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, თბ., 2013., 29

გამოირჩეოდნენ. უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმა მკაცრად განსაზღვრული ფარგლები უნდა დაუწესოს. ეს უზრუნველყოფს ძირითადი უფლებების ეფექტიან სამართლებრივ კონტროლს.

## თავი II ფარული საგამოძიებო მოქმედებების ცნება და მისი ჩატარების წესი

### 2.1. ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ცნება და სახეები

ფარული საგამოძიებო მოქმედებები სიახლეა საპროცესო კანონმდებლობაში. მისი ჩატარება დაიშვება მაგისტრატი მოსამართლის განჩინების საფუძველზე.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ყველა კატეგორიის დანაშაულის გამოძიებისას როდი დაიშვება. ასეთ შემთხვევაში საპროცესო კანონი

ანესებს. სსსკ-ის 1431-ე მუხლი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეებს, რომელთა ჩამონათვალი ამომწურავია<sup>32</sup>:

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩანერა, რაც პირის მიერ ნებისმიერი სახის ტელეფონით განხორციელებული კომუნიკაციის მოსმენა-მიყურადებას და ტექნიკური საშუალების გამოყენებით ჩანერას გულისხმობს;

კავშირგაბმულობის არხიდან და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია, რაც კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთების გზით ხორციელდება.

კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი საშუალებების ინსტალაციის გზით;

საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;

ფარული ვიდეო და აუდიოჩანერა, კინო და ფოტოგადაღება;

ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

სათანადო ფაქტობრივი და საპროცესო საფუძვლების არსებობისას დასაშვებია რამდენიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების ერთდროულად ჩატარება.

---

<sup>32</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები., 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით თბ.2015.,427

### თავი III

ფარული საგამოძიებო მოქმედება და პირადი ცხოვრების  
ხელშეუხებლობის პრინციპი

### 3.1 ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვის კონტროლის უზრუნველყოფა

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებიდან მოკლე დროში, მის ცალკეულ ინსტიტუტებსა თუ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში გაჩნდა ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებები, უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხო ფარული საგამოძიებო მოქმედებების არსებობის მიზანშეწონილებას საპროცესო კანონმდებლობაში.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამოქმედებისას ითვალისწინებდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ადრე საერთოდ არ იცნობდა და ის მოქმედებები, რომელიც ამა თუ იმ მოვლენის ფარულ აუდიო ან ვიდეო ჩანერასთან, ანდა დანაშაულის გასახსნელად ოპერატიული სამსახურის მუშაკის მიერ ფარულ მოქმედებასთან იყო დაკავშირებული, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად მოისაზრებოდა და რეგულირდებოდა კანონით „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“.

როგორც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან ჩანდა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ დებულებები უნდა ამოქმედებულიყო 2011 წლის 1 აპრილიდან. ამავე დროს კანონმდებელმა თხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობას განსახილველად წარედგინა „ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ პროექტები, ხოლო „ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ“ კანონის ამოქმედებისთანავე სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები ძალადაკარგულად უნდა ყოფილიყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, 2010 წლის 24 სექტემბრის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამოღებულ იქნა ფარული საგამოძიებო მოქმედებები და არც კოდექსშია იმაზე მინიშნება, უნდა შემუშავდეს თუ არა სპეციალური კანონი „ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ“. ამასთან დაკავშირებით, ქათულ იურიდიულ ლიტერატურაში გაჩნდა რადიკალურად ურთიერთგანსხვავებული შეხედულება, ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა ამოღების გადანაცვეტილების მიღება, არც თეორიული და არც პრაქტიკული თვალსაზრისით, არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს ცალკეული მეცნიერები თვლიან<sup>33</sup>, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ფარული საგამოძიებო მოქმედებების ამოღება მართებულია, რადგანაც, მათი აზრით, ერთმანეთისაგან უნდა იქნეს გამიჯნული, ერთის მხრივ, ოპერატიულ მუშაკთა საქმიანობა, რასაც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონი არეგულირებს და წინ უსწრებს გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას და, მეორე მხრივ, გამომძიებლის საქმიანობა, რასაც საპროცესო კოდექსი არეგულირებს<sup>34</sup>. იმისათვის, რომ თეორიაში არსებული ეს დავა გადაწყდეს, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის კომპეტენცია სისხლისსამართალწარმოების პროცესში.

---

<sup>33</sup>ჯ. ვახოვიძე, მ. მამნიაშვილი, ფარული საგამოძიებო მოქმედებები თუ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა? აურნ. „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, № 6, 2010, გვ. 130.

<sup>34</sup>დ. ლეკიაშვილი, ზოგადი მოსაზრებები საპროცესო და არასაპროცესო მოქმედებების თაობაზე, სტუ-ს I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამართლის აქტუალური პრობლემები“, გვ. 148-150.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გაუქმდა მოკვლევის ინსტიტუტი, ამ მიმართებით, ანალოგიურია მდგომარეობა მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, რის გამოც გამოძიების დანყება, მტკიცებულებათა მოპოვება, დამაგრება, ფიქსაცია და შეფასება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მთლიანად გადავიდა მხოლოდ გამომძიებლის, პროკურორის და მოსამართლის (სასამართლოს) კომპეტენციაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, არა თუ მოკვლევა, არამედ ოპერატიული მუშაკიც კი საპროცესო საქმიანობის სუბიექტად არ გვევლინება. აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ გამოძიების სტადიაზე ნებისმიერი საგამომძიებო მოქმედება თუ სხვა პროცესუალური მოქმედებების ჩამტარებელი და ხელმძღვანელი იყო მხოლოდ გამომძიებელი, სხვა შემთხვევაში თუ კი გამომძიებელი უშუალოდ არ ჩაატარებს ამა თუ იმ სახის საგამომძიებო მოქმედებას, ეჭვგარეშეა საგამომძიებო სამსახურს გაუძნელდება (მხოლოდ ოპერატიული მონაცემების არსებობით) მტკიცებულებათა აღმოჩენა, დამაგრება და ფიქსაცია.

კიდევ მეტი, წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებიდან მოკლე დროში პროფ. ა. ფალიაშვილმა გამოთქვა მეტად საგულისხმო შეხედულება იმის შესახებ, რომ კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ გაცილდა მის კომპეტენციის ფარგლებს და გადაწყვიტა პროცესუალური საკითხებიც (მოსამართლისაგან ბრძანების მიღება), რომელიც მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მოსაწესრიგებელი საკითხია და, მისი აზრით, ის უნდა ასახულიყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, როგორც ცალკე დამოუკიდებელი საგამომძიებო მოქმედებები.<sup>35</sup>

<sup>35</sup> ა. ფალიაშვილი., სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ, ჟურნ. «სამართალი», 2000, № 4- 5, გვ. 92-93.

აღნიშნულის გამო ვერ გავიზიარებთ პროფ. დ. ლეკიაშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა წარმოადგენს არაპროცესუალურ საქმიანობათა ერთობლობას და ის დგას სისხლისსამართალწარმოების ფარგლებს გარეთ ამასთანავე, ეს შეხედულება ვერ გამოდგება იმის მყარ არგუმენტად, რომ პროცესუალური კანონმდებლობით არ დარეგულირდეს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ გათვალისწინებული მოქმედებები როგორც საგამოძიებო მოქმედებებად, პირიქით, რაკი საქართველოს კანონის „პროკურატურის შესახებ“ მე-3 მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად პროკურორსაც აქვს უფლება განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, ამ უფლებით სარგებლობს ასევე გამომძიებელიც და, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის ცალკეული დებულებები პროცესუალურ ხასიათს ატარებს, ალბათ, უნდა დავეთანხმოთ იმ შეხედულებას, რომ ყველა ეს მოქმედება, როგორც საგამოძიებო მოქმედებები, ასახული იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში“.<sup>36</sup>

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში თარული საგამოძიებო მოქმედებების არსებობის შემთხვევაში უფრო ეფექტურად და ჰარმონიულად შეერწმება ერთმანეთს სისხლისსამართლებრივი დევნა და თარული საგამოძიებო მოქმედებებით გათვალისწინებული პროცედურები, ამით არა მარტო გამარტივდება გამოძიება, არამედ იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია მტკიცებულებად ჩაითვალოს და საჭირო არ გახდეს გამომძიებლების მიერ ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საშუალებით, რადგანაც როგორც ცნობილია, ოპერატიული მოქმედებების

---

<sup>36</sup> ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, დასახ. ნაშრომი., 131



შედეგად მიღებული ინფორმაცია დასაშვებ მტკიცებულებად გადაიქცევა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ის საპროცესო კანონმდებლობის გზით იქნება დამაგრებული.

უნდა ითქვას ისიც, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გაუქმდა წინასწარი გამოძიების ინსტიტუტი და მას მხოლოდ „გამოძიება“ დაერქვა<sup>37</sup>, ამით კი გამომძიებლის საქმიანობა უფრო მეტად ოპერატიული მუშაკის სტატუსისაკენ გადაიხარა (ამჟამად გამომძიებლები დეტექტივებად, ანდა დეტექტივის თანაშემწეებადაც იწოდებიან) და ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, გამომძიებელი უფრო ეფექტურად გამოიყენებს სხვა ოპერატიული მუშაკის შესაძლებლობებს, თუ კი უშუალოდ ჩაატარებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს და მიღებულ ინფორმაციას კანონშესაბამისად მოიპოვებს და დაათვისებს. იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანადაა მითითებული იმის შესახებ, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით არ უნდა შეილახოს ადამიანისთვის საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებული უფლებები პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობის, პირადი ჩანაწერებისა და მიმოწერების, სატელეფონო საუბრებისა და სხვა ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობა, რამდენადაც აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადანყვეტილებით ან მის გარეშე კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისათვის<sup>38</sup>.

ამდენად, მიგვაჩნია ფარული საგამოძიებო მოქმედებების პროცესუალური წესების დარეგულირება სპეციალურ კანონში „ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ“, როგორც ამას მოქმედი საქართველოს სისხლის

---

<sup>37</sup> ნ. გაბრიჩიძე, გამოძიების ცალკეული პროცესუალური ასპექტები, სტუ I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამართლის აქტუალური პრობლემები“, 133.

<sup>38</sup> ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, დასახ. ნაშ. გვ. 131.

სამართლის საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებდა და ამით მოხდებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედებათა ლეგალიზაცია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დონეზე, თორემ თვით ცნება ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ საზოგადოებაში ბევრ კითხვას ბადებს, ხოლო მისი გატანა საპროცესო კანონმდებლობის მიღმა ამ მიმართულებით საკითხის არსს უფრო მეტად ართულებს.

### 3.2 ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების დაცვის საპროცესო მექანიზმი

სხვა საგამოძიებო მოქმედებებისაგან განსხვავებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მხოლოდ კოდექსით განსაზღვრულ ცალკეულ დანაშაულებზეა შესაძლებელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ, მაგალითად, ჩხრეკის ჩატარება შესაძლებელია ნებისმიერი ძარცვის ფაქტზე, მიუხედავად კატეგორიისა (ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე), ფარული აუდიო და ვიდეოჩანერა დასაშვებია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე, აგრეთვე სსკ-ით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებზე.

ფარული საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად:

- ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- უწყისობის თავიდან ასაცილებლად;
- დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად;

- ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების დასაცავად;
- სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები (ინტენსივობა) ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნების პროპორციული უნდა იყოს. ნებისმიერი ლეგიტიმური მიზნით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება იმავდროულად სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვებას ისახავს მიზნად. თუმცა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება უნდა მოხდეს, ან თავიდან იქნეს აცილებული დანაშაული, ვერ გამოდგება სასამართლოს მხრიდან ამგვარი მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის საკმარის საფუძვლად. მხარემ დამატებით უნდა დაადასტუროს ისიც, რომ სხვა საშუალებით, ანუ სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების გზით ამგვარი მტკიცებულების მოპოვება და ამგვარი მიზნის მიღწევა შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

სავალდებულოა, რომ ერთდროულად დაცული იყოს სამი კრიტერიუმი, კერძოდ:

1) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამონწვეული უნდა იყოს გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით: აღნიშნული კრიტერიუმი არ არის მყარი და ყველა საზოგადოებაზე უნივერსალურად მორგებული. ის ცვალებადია დროსა და სივრცეში – პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოცემულობების გათვალისწინებით. ის, რაც ერთ საზოგადოებაში შესაძლოა ჩაითვალოს „გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებად“, შეიძლება სხვა საზოგადოებაში არ იქნეს მიჩნეული არსებითად. გარდა ამისა, ის რაც მოცემული მომენტისათვის გაგებულია როგორც „გადაუდებელ საზოგადოებრივ

საჭიროებად“, შესაძლოა მომავალში ასეთად აღარ ჩაითვალოს, ან პირიქით – დღეისათვის არსებულმა მიზანმა, რომელსაც ვერ მივანიჭებთ „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროების ხარისხს“, მომავალში მიიღოს ასეთი დატვირთვა. მოქმედება „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ არ ნიშნავს, რომ ის არის მიმართული საზოგადოებისათვის გარკვეული და გარდაუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. ასეთი მოქმედება შესაძლებელია, როდესაც მას ამოძრავებს საზოგადოებისათვის ან მისი ნაწილისათვის დადებითი შედეგების მომტანი მიზნები. ქმედება „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ უნდა იყოს მკაფიო და რეალური. ამასთან, „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ შესაფასებლად აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული უფლების არსი, მისი ბუნება და მასთან დაკავშირებული სხვა გარანტიები.

2) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი ლეგიტიმური მიზანი შესაძლებელია იყოს:

- ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება;
- ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები;
- პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

თუ რა შეიძლება მოიაზრებოდეს თითოეულ მათგანში, ეს კონკრეტულ შემთხვევაში არსებითი მსჯელობის დროს უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის გარემოებებთან მიმართებით.

აუცილებლობის არსი გულისხმობს, რომ ჩარევა წარმოადგენს გადაუდებელ სოციალურ აუცილებლობას, კერძოდ, რომ იგი არის დასახული

ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული. ლეგიტიმური მიზნის შესაფერისობა და პროპორციულობა სახეზე უნდა იყოს ერთდროულად. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაფერისია, თუ ის დემოკრატიული საზოგადოების პირობებში კანონით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი და თუ შემლუდვის შედეგად დაცული სიკეთე აღემატება შემლუდვით გამოწვეულ ზიანს;

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება პროპორციულია, თუ დაცულია პროპორციულობა ინდივიდის უფლებასა და საჯარო ან სხვა კანონიერ ინტერესებს შორის.

პროკურორი ვალდებულია ამტკიცოს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მიზნის პროპორციულ და ვინროდმიმართულ საშუალებას წარმოადგენს. პროპორციულობა იმასაც გულისხმობს, რომ სახეზეა საკმარისი გარანტიები, რათა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება არ ჩაითვალოს თვითნებობად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა გაირკვეს, არსებობს თუ არა საკმარისი და ეფექტიანი გარანტიები ძალაუფლების „ბოროტად გამოყენების“ წინააღმდეგ. ამასთან, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება ეხება „დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფ“ სხვა პირებს (პირთა წრეს), სასამართლომ უნდა იმსჯელოს საკითხზე – ამგვარი შუამდგომლობის დაკმაყოფილება ხომ არ გამოიწვევს „ადამიანთა ძალზე დიდი რაოდენობის“ დატოვებას სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე.

ზოგადად, პროპორციულობის პრინციპი აღიარებს, რომ ადამიანის უფლებები არ არის აბსოლუტური და რომ ინდივიდის უფლებების გამოყენება ყოველთვის უნდა შემოწმდეს უფრო ფართო საჯარო ინტერესით. მოსამართლე მუდმივად უნდა ეძიებდეს ბალანსს საზოგადოების ზოგად

ინტერესსა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის. იმის დადგენა, რამდენად პროპორციული იყო ან იქნება ჩარევა, კომპლექსური პროცესია, რომელიც მოიცავს შემდეგ ფაქტორებზე მსჯელობას:

- ინტერესი, რომელიც დაცულ უნდა იქნეს ჩარევისაგან,
- ჩარევის სიმძიმე და
- გადაუდებელი სოციალური საჭიროება, რომლის განხორციელებაც გამიზნული აქვს სახელმწიფოს (პროკურორს).

რაც შეეხება ინტერესს, რომელიც ჩარევისაგან უნდა იქნეს დაცული, აქ მნიშვნელობა აქვს თავად ამ ინტერესის ხასიათს. ამ შემთხვევაში ხასიათის განმსაზღვრელი შესაძლოა იყოს დანაშაულის ხასიათი. მაგალითად, სექსუალური სახის დანაშაულები, ტრეფიკინგი, დანაშაული ბავშვთა მიმართ, სახელმწიფო უშიშროებისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და სხვ. პროპორციულობა ყოველი კონკრეტული ჩარევის შემთხვევაში უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად.

მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. პროკურორმა უამდგომლობას უნდა დაურთოს ინფორმაცია იმ საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, რომელიც უამდგომლობის წარდგენამდე ჩატარდა, თუმცა ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზანი.

აღნიშნული სტანდარტი მიუთითებს იმ გარანტიის უზრუნველყოფაზე, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება უნდა იყოს უკიდურესი საშუალება. ეს სტანდარტი ორ კრიტერიუმს აერთიანებს, რომლიდანაც ერთ-ერთის დაკმაყოფილებაც საკმარისია ამ სტანდარტის უზრუნველსაყოფად, კერძოდ: ა) მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად

მოპოვებული იქნება გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს: გამოძიებისათვის რა არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია შეიძლება იქნეს მოპოვებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად და ასეთი ინფორმაცია ყველა შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნებს, პრინციპებს და მას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და დანაშაულთან (მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ მზადდება) მიმართებით მტკიცებულებების მოპოვებაში, აგრეთვე ბრალდებული პირის ადგილსამყოფლის დასადგენად, მის თანამზრახველთა გამოსავლენად, დანაშაულის ჩადენის იარაღის ადგილსამყოფლის დასადგენად ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების აღმოსაჩენად. გარდა ამისა, შესაძლებელია მიღებულ იქნეს ინფორმაცია დანაშაულებრივი გეგმის დასადგენად და ა.შ.; ბ) ამ ინფორმაციის მოპოვება სხვა საშუალებით შეუძლებელია. საუბარია იმ (კანონიერ) საშუალებებსა და გამოძიების ინსტრუმენტებზე, რომლებიც მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა) მაგ., ჩხრეკა, დაკითხვა და სხვ .

სსსკ-ის 1438-ე მუხლი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შენახვისა და განადგურების წესს. ამასთან, ინფორმაციის შენახვის ვადები და განადგურების წესი აღნიშნული მუხლის თანახმად, განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ინფორმაციასთან გვაქვს საქმე სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებით მისი მნიშვნელობის და სტატუსის გათვალისწინებით. აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც:

- გამოძიებისთვის არ არის ღირებული;
- პროკურორმა არ წარადგინა როგორც მტკიცებულება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე;
- არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას;
- სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო;
- სისხლის სამართლის საქმეს ერთვის ნივთიერ მტკიცებულებად.

ინფორმაცია, რომელსაც გამოძიებისთვის ღირებულება არ გააჩნია – ამ ტიპის ინფორმაციის განადგურებაზე გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი თარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც საგამოძიებო მოქმედების შედეგად დადგინდება, რომ მოპოვებულმა ინფორმაციამ ვერ გაამართლა გამოძიების მოლოდინი და მისი მოპოვებით ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზანი.

ინფორმაცია, რომელიც პროკურორმა არ წარადგინა მტკიცებულებად არსებითი განხილვის სხდომაზე – როგორც უკვე აღინიშნა შესაბამისი მუხლების კომენტარებისას, მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები. შესაბამისად, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოში არ წარადგინოს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული თარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია სასამართლოს მიერ საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის მიუხედავად. ამგვარი მტკიცებულების განადგურების გადაწყვეტილება პროკურორმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს. თარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ზემოაღნიშნულ ინფორმაციას ანადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი, სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ან მათი ზემდგომი პროკურორი.



ამასთან, პროკურორმა ინფორმაცია უნდა გაანადგუროს იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. იმ ინფორმაციას, რომლის განადგურებაც მოსამართლის უფლებამოსილებაში შედის, ანადგურებს ის მოსამართლე ან იმ სასამართლოს მოსამართლე, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დგება ოქმი, რომელიც: გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს; გადაეცემა ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის პერსონალური მონაცემების განადგურების კომისიას; აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში.

### 3.3 პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის როლი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ეტაპზე

პერსონალურ მონაცემთა დაცვა ადამიანის პირადი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად განიხილება. დასავლეთის იურისდიქციების უმრავლესობა ამ მხრივ მნიშვნელოვან მოთხოვნებს აყალიბებს და კისრულობს

ვალდებულებას პატივი სცეს ადამიანის უფლებას დაცულ იქნას მისი პერსონალური ინფორმაცია დამუშავებისაგან.

საქართველოს კანონმდებლობა არ გვთავაზობს საკითხის *lex specialis* რეგულირებას და ზოგადად თუ ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვას. როგორც წესი, მიუხედავად განსხვავებული იურისდიქციებისა, პერსონალურ მონაცემთა განმარტებაში იკვეთება მახასიათებელთა გარკვეული ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც პერსონალური ინფორმაცია მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება ფიზიკურ პირს. ხოლო პერსონალური მონაცემების დამუშავება კი მოიცავს ნებისმიერ ოპერაციას ან მათ ერთობას, რომელიც ხორციელდება პერსონალურ მონაცემებზე, მიუხედავად იმისა იქნება ეს უკანასკნელი ავტომატური თუ არა, მათ შორის შეგროვება, ჩანერა, შენახვა, ადაპტირება ან შეცვლა, მოპოვება, გამოყენება, გავრცელება ან სხვაგვარი ხელმისაწვდომობა<sup>39</sup>.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის “ა” ქვეპუნქტში მოცემულია პერსონალური მონაცემების ლეგალური დეფინიცია, რომლის თანახმადაც პერსონალურ მონაცემებს მიეკუთვნება “ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.”<sup>40</sup> უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალური მონაცემები კანონმდებელმა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არეალში მოაქცია. “პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

<sup>39</sup> ანა ტაბიძე, პერსონალურ მონაცემთა დაცვა საქართველოს კანონმდებლობაში <http://www.mkd.ge/ge/%E1%83%A0> (გადამონწმეული, 01.05.2019)

<sup>40</sup> საქართველოს კანონი “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” 28.12.2011წ. გვ.1

ფართო ცნებაა და იგი განიმარტება არა მხოლოდ პირადი კორესპონდენციისა და საცხოვრებლის გარეშე პირთა ჩარევისაგან დაცვის უფლებით, არამედ ის მოიცავს<sup>41</sup>

1. პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას;
2. სახელმწიფოს მიერ პირადი მონაცემების შეგროვებასა და შენახვას და პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;
3. სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებას;
4. სახელებს.”

ამდენად “პერსონალურ მონაცემთა დაცვა ამჟამად არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად და დინამიკურად განვითარებადი სამართლის დარგი, რომელიც ინტერნსიურად ვითარდება როგორც ცალკე აღებული ქვეყნების ფარგლებში, ისე რეგიონალურ დონეზეც.”<sup>42</sup>

პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მსჯელობისას სასამართლომ აღნიშნა, რომ “ პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ერთერთი უმთავრესი ასპექტია.”... და რამდენადაც უკვე ავლნიშნეთ „41-ე მუხლის მე-2 პუნქტი კავშირშია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლთან, რომლითაც დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რადგანაც მასში სწორედ ის მონაცემებია მითითებული, რომელიც პირის პრივატულ სფეროს შეეხება.”<sup>43</sup> ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმცია, რომ პირს

<sup>41</sup> ლ. იზორია, ვ. კორნელია, ვ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბილისი, 2005, გვ 123

<sup>42</sup> გ.ჯონაძე, პერსონალურ მონაცემთა დაცვა ადამიანის უფლებათა კონტექსტში: საქართველოს მაგალითი, გამონკვევები და ტენდენციები, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, (სტატიათა კრებული კორკელია.კ.-ს რედაქტორობით) თბილისი, 2011, გვ. 327

<sup>43</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის 12/3/406, 408 გადაწყვეტილება: საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.15

არ სურს მის კერძო საითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას პირის კერძო სფერო, სანამ თავად ეს პირი არ გამოხატავს საინფორმაციო ნებას და არ მოითხოვს ინფორმაციის გაცემას. ამ დროს კონსტიტუციით დასრულებული მთავარი ფასეულობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაა.”<sup>44</sup>

”პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი არსი გამოიხატება პერსონალურად მიჩნეული ინფორმაციის დამუშავების კანონიერების უზრუნველყოფით. სწორად დამუშავების კანონიერების დადგენაზე მიმართული კრიტერიუმები აღიარებულია როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის მთავარი პრინციპები.”<sup>45</sup> ეს პრინციპები განმარტებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 43-ე მუხლი, რომელშიც აღწერილია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესები. ეს წესები მოიცავს: კანონით დადგენილის საფუძვლის არსებობის მოთხოვნას, დელიკატური ინფორმაციის დამუშავების აკრძალვას, მაკონტრელელებელი მექანიზმების შექმნას, მონაცემთა შენახვის განსაზღვრულ ვადას, პირის უფლებას ფლობდეს ინფორმაციას მისი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების მოთხოვნაზე და ა.შ. რაც შეეხება სპეციალურ კანონს, რომელიც შეეხება პერსონალ მონაცემთა დაცვას, მასზე მუშაობა საქართველოს მთავრობამ 2006 წელს დაიწყო. კანონში ასახულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალთან დაკავშირებული ტერმინების განმარტებები, რაც ასევე სასიცოცხლოდ აუცილებელია საქართველოში საზოგადოების სამართლებრივი განათლების დონიდან გამომდინარე. კანონში ასევე დეტალურადაა განხილული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა მონაცემთა დამუშავების ვადები,

<sup>44</sup> 2008 წლის 30 ოქტომბრის 12/3/406,408 გადაწყვეტილება II.3.15

<sup>45</sup> გ.ჯობაძე, პერსონალურ მონაცემთა დაცვა ადამიანის უფლებათა კონტექსტში: საქართველოს მაგალითი, გამონწვევები და ტენდენციები, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, (სტატიათა კრებული კორკელია.კ.-ს რედაქტორობით) თბილისი. 2011, 349

დელიკატურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და შეზღუდვები, გარდაცვლი პირთა მონაცემების დამუშავება, საჯარო და კერძო დანესებულებათა ვიდეო თვალთვალი და ა.შ.

თუმცა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებას და ნოვაციას ქართულ კანონმდებლობაში წარმოადგენს მონაცემთა დაცვის ინექტორის ინსტიტუტის შემოღება. მისი ამოცანაა საჯარო და კერძო დანესებულებებისათვის კონსულტაციის გაწევა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა, მონაცემთა დამუშავების კანონიერების განხილვა და შემოწმება, ასევე საზოგადოების ინფორმირება საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ თავის ყოველწლიურ ანგარიშში. მონაცემთა დაცვის ინსექტორის მუშაობის ეფექტურობა წესით უნდა განაპირობოს იმ ფაქტორმა, რომ იგი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებამოსილება, რამდენად იგი არავის დაქვემდებარებაში არაა, პირიქით მასზე რაიმე სახის ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით.

## თავი IV

### პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიები საერთაშორისო - სამართლებრივ ჭრილში

ე. წ. „privacy“-ის სამართლებრივი ცნება უძველეს დროშიც არსებობდა. კერძო ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტი, საექიმო საიდუმლოება, სათავეს იღებს ჯერ კიდევ ჩვ. წ.-ით მე-5 საუკუნიდან ჰიპოკრატეს ფიცის სახით. პიროვნული უფლებები გახდა ინტენსიური განსჯის საგანი ასევე, როცა მიმონწერის საიდუმლოება ზოგადად აღიარეს<sup>46</sup>. საერთოდ, ისტორიულად პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ მოძღვრება საკუთარ პიროვნებაზე უფლების თაობაზე მოძღვრების სახით წარმოიშვა. მისი წარმოშობა უკავშირდება დონელუსის სახელს. მან ჯერ კიდევ რომის სამართლის კომენტარებისას სამართლებრივი

---

<sup>46</sup> მ. ბიჯია., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (დისერტაცია) თბ. 2012, 18

დაცვა გაავრცელა სიცოცხლეზე, ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე, თავისუფლებასა და პატივზე. სავინი მიუღებლად თვლიდა ადამიანის მიერ საკუთარი სახელისა და სიცოცხლის განკარგვის უფლების ცალკე მონესრიგებას<sup>47</sup>. პუხტა უშვებდა საკუთარ პიროვნებაზე უფლების არსებობას. ამ იდეას დერნბურგიც განამტკიცებდა პანდექტების ცნობილ სახელმძღვანელოში<sup>48</sup>. პირადი არაქონებრივი უფლებების პირველი დეფინიცია წარმოადგინა გირკემ, რომელიც მიიჩნევდა, რომ პიროვნულია უფლებები, რომლებიც საკუთარი სფეროების ამა თუ იმ ნაწილში მისი სუბიექტის ბატონობას უზრუნველყოფს. გარეისის აზრით, პირადი უფლება არის სამართლის სუბიექტის ინდივიდუალობის აღიარების უფლება, რაც არსებითად საავტორო სამართლის გაძლიერებამ გამოიწვია. გერმანიასა და ავსტრიაში ჩამოყალიბდა კონცეფცია “პიროვნული უფლებებისა” და “კერძო ცხოვრების საკუთარი შეხედულებისამებრ მონყობის უფლების თაობაზე” (გირკე, გარეისი). აქ სასამართლო პრაქტიკამ შექმნა ზოგადი პიროვნული უფლება, რომელიც ორიენტირებულია პიროვნების სრულ დაცვაზე. საფრანგეთში პირადი არაქონებრივი უფლებების ინსტიტუტის შემუშავებას მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნეს ბერტომ და პერომ.

აშშ-ში ლიბერალიზმის წარმომადგენელმა ლუის ბრანდისმა წარმოსწია “პირად სფეროზე უფლების” იდეა. კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ოფიციალურმა თეორიამ ფაქტობრივად ხორცი შეისხა უერენისა და ბრანდისის სტატიაში, რომელიც პირადი სფეროს დაცვის შესახებ პირველ განხილვას წარმოადგენდა. ეს სტატია დაინერა “ყვითელი პრესის” უცერემონიობის სოციალური შედეგების განხილვის გამო, რაც სენსაციის ძიებაში გარკვეულწილად

---

<sup>47</sup> იქვე

<sup>48</sup> მ.ბიჭია., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (დისერტაცია) თბ. 2012., 19

ეთიკურობის საზღვრებს გადადიოდა<sup>49</sup>. ძირითადი პრინციპი “ინდივიდის პიროვნულობა ხელშეუვალია” უერენმა და ბრანდისმა მორალური კონცეფციიდან აიღეს და განავითარეს. დადგა ამ უფლების სამართლებრივად აღიარების დრო<sup>50</sup>. უერენი და ბრანდისი ხაზს უსვამდნენ, რომ კერძო ცხოვრებაზე უფლება არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ადამიანთა ყოვლისმომცველი აბსოლუტური უფლება; არამედ არსებობს გარემოებანი, რომელთა შემთხვევაშიც ადამიანის ღირსება უკან იხევს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მოთხოვნებთან კოლიზიისას. როდესაც კონგრესმა მიიღო კერძო ცხოვრების შესახებ კანონი (1974 წ.), კერძო ცხოვრების უფლება უკვე იყო მყარად ფესვგადგმული ამერიკულ იურიდიულ გამოცემებში. “პირადი ცხოვრების უფლება განისაზღვრა, როგორც “უფლება ეკუთვნოდე საკუთარ თავს.” თუმცა ახალი იდეა უაპელაციოდ არ მიუღიათ<sup>51</sup>.

1902 წელს ნიუ-იორკში “პირად სფეროზე უფლების” შესახებ კანონის მიღებითა და რიგი გადაწყვეტილებებით განისაზღვრა ახალი უფლების განვითარება. აღნიშნულმა განაპირობა ამა თუ იმ ფორმით მისი აღიარება თითქმის ყველა შტატში, თუმცა სპეციალური საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მის დაცვას ითვალისწინებდა, მხოლოდ რამდენიმე შტატში (ნიუიორკი, ოკლაჰომა, იუტა და ვირჯინია) მიიღეს. შტატების უმრავლესობა სასამართლოს საშუალებით ახორციელებდა პირადი სფეროს დაცვას, რადგან “კერძო ცხოვრების” დარღვევა დელიქტად იყო აღიარებული. სასამართლოები მხოლოდ ოთხ შტატში (როდ-აილენდი, ნებრასკა, ტეხასი და ვისკონტისი) აცხადებდნენ უარს “პირად სფეროზე უფლების” აღიარებაზე, ვინაიდან მოქმედ საერთო სამართალში ცვლილებების შეტანა მხოლოდ საკანონმდებლო წესრიგით არის დასაშვები. ნიუ-იორკის შტატის კანონში (1902 წ.), რომელიც შემდგომი საკანონმდებლო

<sup>49</sup> იქვე

<sup>50</sup> იქვე

<sup>51</sup> მ. ბიჯია., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (დისერტაცია) თბ. 2012, 20



აქტებისთვის ნიმუშს წარმოადგენდა, განისაზღვრა, რომ “პირად სფეროზე უფლების” დარღვევა იმავდროულად არის დელიქტი და სისხლისსამართლებრივი სამართალდარღვევა. “პირად სფეროზე უფლების” დაცვა გულისხმობს პირის სახელისა და გამოსახულების დაცვას.

“პირად სფეროზე უფლება” შეიძლება გამოიხატოს უფლებამოსილი პირის გამოსახულების თანხმობის გარეშე კომერციული ექსპლუატაციისაგან დაცვის უფლებაში მხოლოდ მაშინ, თუ მოსარჩელის გამოსახულების (ან სახელის) გამოყენებასა და რეკლამას ან სავაჭრო მიზანს შორის პირდაპირი და უშუალო კავშირია. ამასთან, არსებობს სხვა საქმეც, რომელშიც არ დაკმაყოფილდა სარჩელი მსახიობისა, რომლის პორტრეტი განთავსებული იყო ყოველდღიური ჟურნალის ერთ გვერდზე სხვა სარეკლამო განცხადებებთან ერთად. ამდენად, ამერიკელებმა დეკლარაციაში ასახეს განმარტოების უფლების სახელმწიფოებრივად დაცვა იდეა (რაც იყო ჯონ ლოკის შრომებში აღწერილი). მართალია, ეს არ იყო უფლება კერძო ცხოვრებაზე იმ გავებით, როგორც დღეს არის გააზრებული, თუმცა აღნიშნულმა დაუდო დასაბამი საერთო სამართალში კონცეფციას, რომ ადამიანთა ცხოვრება და საკუთრება ჩარევისაგან თავისუფალი უნდა იყოს<sup>52</sup>. კერძო ცხოვრების დაცვის შესახებ პირველი სასამართლო გადაწყვეტილება იყო 1881 წელს მიჩიგანის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ ზიანის ანაზღაურება დააკისრა პირს ქალის სასარგებლოდ, რომელსაც მოჰასუხე აკვირდებოდა მშობიარობის დროს მისი თანხმობის გარეშე.<sup>20</sup> ერთი წლის შემდეგ მოსამართლე ტომას ქულიმ ერთერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში “განმარტოების” უფლება სამოქალაქო დელიქტების ერთ-ერთ ნაწილად ჩათვალა. 1873 წელს ამას მოჰყვა ნაშრომი,

---

<sup>52</sup> მ. ბიჯია., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (დისერტაცია) თბ. 2012, 21

რომელიც კერძო ცხოვრების დაცვის მნიშვნელობას ეხებოდა.<sup>53</sup> უძველესი პრინციპი “ინდივიდს თავისი პიროვნებისა და საკუთრების დაცვის სრული უფლება აქვს” დროთა განმავლობაში იცვლება. თანდათანობით ამ უფლებების მასშტაბი გაიზარდა და პირის იმუნიტეტი ფიზიკური იმუნიტეტიდან გავრცელდა პირის ემოციებზეც, ისეთ არამატერიალურ ფასეულობებზე, როგორცაა პირის ინტელექტუალური საკუთრება, კომერციული საიდუმლო, სავაჭრო ნიშანი და სხვა. ბოლოდროინდელმა გამოგონებებმა და ბიზნესის განვითარებამ, პრესის მიერ უხამსი ინტერესების დასაკმაყოფილებლად სხვების სქესობრივი ცხოვრების დეტალების გავრცელებამ გამოიწვია განმარტოების უფლების წინ წამოწევა<sup>54</sup>. ამ სახის მოქმედებისგან თავდასაცავად საერთო სამართალი პირს ანიჭებს უფლებას, თვითონ განსაზღვროს, რამდენად გაუზიაროს სხვას თავისი ფიქრები, ემოციები და გრძნობები. მათი გავრცელება უფლებამოსილი პირის თანხმობას საჭიროებს. უფლება იკარგება, როდესაც პირი თავად გადანყვეტს საზოგადოებისთვის საკუთარი ფიქრების, ემოციების გაცნობას ანუ მათ გამოაქვეყნებს. აქვე უნდა გაიმიჯნოს პირის ყოფითი სინამდვილის შესახებ რაიმეს აღწერა, რომელიც მისი საყოფაცხოვრებო წვრილმანებს შეეხება და წერილი ან დღიურის ნაწილი, როგორც ლიტერატურული ნაშრომი<sup>55</sup>.

საქართველოში პირადი ცხოვრების დაცვის ისტორიული ექსკურსი ჯერ არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი. თუმცა შესაძლებელია ამ ასპექტის შესახებ ზოგიერთი ტენდენციის გამოკვეთა. პირადი ცხოვრების დაცვის პერიოდიზაცია შეიძლება მოხდეს ამგვარად:

ა) პირადი სფეროს დაცვა ფეოდალურ ეპოქაში;

---

<sup>53</sup> იქვე

<sup>54</sup> მ. ბიჭია., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (დისერტაცია) თბ. 2012, 21

<sup>55</sup> იქვე

ბ) პირადი ცხოვრების დაცვა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-19 ასწლეულის ბოლომდე;

გ) პირადი ცხოვრების დაცვა თანამედროვე ეპოქაში.

ფეოდალურ ხანაში პირადი ცხოვრების გამოვლინების ცალკეული ფორმები პატივისა და ღირსების სახით ძირითადად ზნეობრივ სფეროსა და რელიგიურ მრწამსს დაუკავშირდა. შეიძლება ითქვას, რომ პირადი ცხოვრება ზოგადად დამოუკიდებელი იყო წოდებრიობაზე, კერძოდ, რაც უფრო მაღალი წოდების იყო პირი, მით უფრო მაღალი პატივი და ღირსება ჰქონდა საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან მინიჭებული. ფეოდალური სამართლის ძეგლებში პირადი ცხოვრების ცალკეულ გამოვლინებათა (პატივისა და ღირსების) დაცვის გარკვეულ ასპექტებზე აღნიშვის ღირსია გ. ნადარეიშვილის პოზიცია,<sup>56</sup> თ. მონიავას ხედვა<sup>57</sup>.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში კერძო ცხოვრების მოცულობა კიდევ უფრო გაფართოვდა. მართალია, ეროვნული თვითგამორკვევის არსია გამოხატული დიდი ილიას სიტყვებში: “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნესო”, მაგრამ არც ტექსტზე ჰერმენევტიკული ძალადობა გამოვა, თუ აქ ინდივიდის დამოუკიდებლობასაც მოვიაზრებთ. საბჭოთა პერიოდში დაცული იყო პირადი სფეროს გარკვეული ასპექტები, თუმცა მე-20 საუკუნიდან ტექნოლოგიურმა განვითარებამ პიროვნების დაცვა გაცილებით აქტუალურ პრობლემად აქცია. დღეს მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა პირადი ცხოვრება აღიარა დამოუკიდებელ დაცვის ღირს სიკეთედ. აღნიშნულმა გაზარდა პირადი ცხოვრების დაცვისადმი ყურადღება. რაც შეეხება საქართველოს

---

<sup>56</sup>გ. ნადარეიშვილი, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, “ალმანახი”, ქართული სამართლის ისტორიის ძეგლები, 2000, N14, 53-54; გ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., “ბონა კაუზა”, 2003, 160

<sup>57</sup>თ. მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), თბ., “მერიდიანი”, 2005, 47-53, 69-71. თ. მონიავა, ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების ცნება, “სამართალი”, N6-7, 2003, 21

სასამართლო პრაქტიკას, ის იურისპრუდენციაში ცნობილი კონსერვატიზმის პოზიციებიდან შეხვდა პირადი ცხოვრების დაცვის უფლების აღიარებას. აღნიშნული ჩანს თვით საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 1 დეკემბრის განჩინებაში, რომელიც პატივისა და ღირსების შელახვას უკავშირდება. თუმცა, მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინების გაცნობის შემდეგ აშკარა ხდება, რომ შეილახა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. ამდენად, პირადი სფეროს შესახებ პირველი საქმე საქართველოში წარუმატებელი გამოდგა. საგულისხმოა ასევე ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოში განხილული საქმე “ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ”, რომელშიც პირადი ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტის-გამოსახულების-ხელყოფა გამოიკვეთა. აღნიშნულს მოჰყვა საქმე, რომელიც ეხებოდა პირადი საიდუმლოების ერთ-ერთ გამოვლინებას-შვილად აყვანის საიდუმლოებას. საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობების გავრცელების თაობაზე; პირის რეაბილიტაციის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2003 წლის 11 ნოემბრისა და დიდი პალატის 2003 წლის 24 მარტის განჩინებები. ამის შემდეგ შედარებით განვითარდა პირადი ცხოვრების დაცვისადმი მიდგომა, რაც განაპირობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებამ<sup>58</sup>. თუმცა მაინც იყო გარკვეული საკითხები, რაშიც არ იზიარებდნენ ევროპულ გამოცდილებას<sup>59</sup>. ამ თვალსაზრისით

<sup>58</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/2058)

<sup>59</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება (საქმე Nას-968-1269-07)

განსაკუთრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წვლილი<sup>60</sup>. თუმცა ინტერესთა დაბალანსება სათანადოდ მაინც ვერ ხორციელდებოდა. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში პერსონალური მონაცემების მიღების შესახებ 2008 წელს შესული დამატებით შეივსო საკანონმდებლო ხარვეზი, ვინაიდან მანამდე პერსონალური მონაცემების დაცვა კერძოსამართლებრივად არ იყო ცალკე გათვალისწინებული. 21-ე საუკუნის დასაწყისში პირადმა ცხოვრებამ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა საქართველოში. ეს განპირობებული იყო სექსუალური რევოლუციის წარმოშობის ტენდენციების გაჩენით<sup>61</sup>.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია შემუშავებულ იქნა ევროპის საბჭოს ჩარჩოებში, რომელსაც ხელი მოეწერა რომში 1950 წლის 4 ნოემბერს. ევროპული კონვენცია ძალაში შევიდა 1953 წლის 3 მაისს. 2005 წლის მაისის მდგომარეობით 45-მა სახელმწიფომ მოახდინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება. ევროპული კონვენცია თავის პრეამბულაში აცხადებს, რომ კონვენცია შემუშავდა იმ მიზნით, რომ მას საყოველთაო დეკლარაციაში წარმოდგენილი კონკრეტული უფლებების კოლექტიური შესრულებისათვის საწყისი ნაბიჯების გადადგმა მოეხდინა. ევროპული კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან თოთხმეტი დამატებითი ოქმი იქნა მიღებული. 1-ელმა, მე-4, მე-6, მე-7, მე-12 და მე-13 ოქმებმა მოახდინა კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ახალი უფლებებისა და თავისუფლებების დამატება. 1998 წლის 1 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლასთან

---

<sup>60</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება, 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება (საქმე N1/7/454), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე N2/3/406,408)

<sup>61</sup>შ. გაბუნია, ვირტუალური კომუნიკაციების როლი თბილისელ ლესბი ქალთა ცხოვრებაში, თბ., 2010, . 1-14;

ერთად ამოქმედდა ახალი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ფუნქციონირებს მუდმივმოქმედ საფუძველზე და ცვლის კონვენციის ყოფილ ორ საზედამხედველო ორგანოს: ევროპულ სასამართლოსა და კომისიას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენცია დაახასიათა "ევროპული საჯარო წესრიგის (ორდრე პუბლიც) კონსტიტუციურ დოკუმენტად".

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა ამ სახელმწიფოსათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლის თანახმად წარმოქმნილი ვალდებულებები, წარმოადგენს ქვეყნის საკანონმდებლო სისტემის ნაწილს და შიდა სასამართლოები, ისევე როგორც საჯარო ხელისუფლების ორგანოები, ვალდებული არიან გამოიყენონ მისი დებულებები. შიდა სამართალწარმოებისას პირებს შეუძლიათ პირდაპირ დაეყრდნონ კონვენციის ტექსტსა და მასთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, როდესაც ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში მოდის კონვენციასთან. დამატებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლოებისათვის, რომლებმაც მართლმსაჯულების განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელონ კონვენციის ნორმებით, როგორც ეროვნულ დონეზე მოქმედი იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესებით<sup>62</sup>.

არსებითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ინკორპორირება ქვეყნის კანონმდებლობაში აყალიბებს

---

<sup>62</sup>კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, სტატიათა კრებული "ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში", 2004, 53.

პირადი ცხოვრების პატივისცემის ზოგად უფლებას. მე-8 მუხლი იცავს პირის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელსა და მიმონერას სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისაგან. ამასთან, კონვენციის მიხედვით სახელმწიფოებს აქვთ არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება – არ ჩაერიონ მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაში, არამედ ასევე პოზიტიური ვალდებულება – უზრუნველყონ ამ უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა. ევროპული სასამართლოს მიერ მრავალ საქმეზე გამოტანილ განაჩენში პირად ცხოვრებაში ჩარევა დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევად, ვინაიდან ღონისძიებები არ იყო განხორციელებული კანონის შესაბამისად. ყველაზე ცნობილი მაგალითები არის ინდივიდების სატელეფონო მოსმენები, ან ტელეფონზე საიდუმლო თვალთვალი ელექტრონული ხელსაწყოთა დახმარებით, რომლებიც განხორციელდა იმ პროცედურებისა და სისტემების გამოყენებით, რომლებიც არ იყო ნებადართული კანონმდებლობით. ხსენებულ ჩარევებზე შესაბამისი სამართლებრივი სტრუქტურის არარსებობის შემთხვევაში, ქმედება გამოიწვევს მე-8 მუხლის დარღვევას. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი კანონიერი მიზნები არის შემდეგი: ქმედება, რომელიც მიმართულია ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის; ქმედება, რომელიც მიმართულია უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად; ან ქმედება, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული მიზნები ფართო ხასიათს ატარებს; ხშირ შემთხვევაში ჩარევა შეიძლება ჩაითვალოს ზემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი დასახული მიზნის შესაბამისად – მაგალითად, სატელეფონო მოსმენების განხორციელება დანაშაულის გამოძიებისა და აღკვეთის მიზნით. ამასთან, უფრო რთული საკითხები შეიძლება წარმოიჭრას მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს პირადი ცხოვრებისა და გამოხატვის თავისუფლების

კონკურენტულ ინტერესებთან, რომლებიც დაკავშირებულია პირის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ფოტოებისა და დოკუმენტების გამოქვეყნებასთან.

**ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ხასიათი** - პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის კონცეფცია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში შეიძლება იყოს უფრო ფართო, ვიდრე ისინი ერთი შეხედვით ჩანს. პირადი ცხოვრების პატივისცემის კონცეფცია მოიცავს პიროვნების განვითარების უფლებას, ისევე როგორც ურთიერთობების დამყარებას სხვებთან. ამასთან, მე-8 მუხლი გამოყენებულ იქნა ჰომოსექსუალებისა და ტრანსსექსუალების უფლებების დასაცავად. ხსენებული ასევე გამოყენებულ იქნა პირის ოფისსა და მის საცხოვრებელზე დაცვის გათვართობის მიზნით. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, მაგალითად, ინგლისის სასამართლოებში დადგენილ იქნა, რომ პირადი ცხოვრების უფლებით პრინციპში შეიძლება ისარგებლოს კომპანიამ, ისევე როგორც ინდივიდმა. პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის დაცვა შეიძლება შესაბამისი იყოს დაგეგმარებისა და ბუნებრივი ზემოქმედების კონტექსტებთან. საკუთარ საცხოვრებელთან ახლოს არასასურველი წარმოება – მაგალითად, ბირთვული ქარხანა ან ნარჩენების გადამამუშავებელი საამქრო – რაც ზეგავლენას მოახდენს პირის საკუთრებით სარგებლობაზე, შეიძლება ჩაითვალოს მე - 8 მუხლით გაცხადებულ უფლებებში ჩარევად, რაც გამართლებულ უნდა იქნეს ზემოთ აღნიშნული გზებით. ამის მსგავსად, პირის უფლებები, უარი თქვას სამედიცინო მკურნალობაზე და შეინარჩუნოს პირადი დამოუკიდებლობა, ხშირ შემთხვევაში მოიცავს მე-8 მუხლით დაცულ პრინციპებს.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპული კონვენციით განმტკიცებული უფლებები, რომლებიც მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ ინკორპორირებულია ეროვნულ სამართალში, გვევლინება ცოცხალ



სამართლებრივ აქტად, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უფლების ხასიათი და მოცულობა, რომლითაც იგი დაცულ უნდა იქნეს, დამოკიდებული იქნება მოცემული მომენტისათვის არსებულ საზოგადოებრივ ღირებულებებზე. კარგი მაგალითი იქნებოდა ტრანსსექსუალების მზარდი უფლებები. ევროპულმა სასამართლომ რამდენჯერმე მიუთითა, რომ ტრანსსექსუალების ამჟამინდელი შეზღუდული უფლებები გამოცვალონ დამადასტურებელი დოკუმენტები მათი სქესის შეცვლასთან დაკავშირებით, გადასინჯვას საჭიროებს ტრანსსექსუალობასთან დაკავშირებული პოზიციის, სამეცნიერო ცოდნისა და ზოგად წარმოდგენაზე არსებითი ცვლილებების შემთხვევაში<sup>63</sup>.

**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია** - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საყოველთაო დეკლარაცია მიღებულ იქნა 1948 წლის 10 დეკემბერს. მოყოლებული 1948 წლიდან საყოველთაო დეკლარაციამ იმპლემენტაციის უმაღლესი სტატუსი მოიპოვა არა მხოლოდ როგორც "ყველა ხალხისა და ერების საერთო სტანდარტის მიღწევის", არამედ როგორც პრინციპების მტკიცებულებამ, რომელიც ყველა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს. რობერტსონისა და მერილსის თანახმად, მსოფლიოში საყოველთაო დეკლარაციაში ასახულმა ფუნდამენტურმა პრინციპებმა გავლენა იქონია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაზე. აქედან გამომდინარე, საყოველთაო დეკლარაციის ზეგავლენამ მისი ავტორების მოლოდინს გადააჭარბა, რაც იმაში გამოიხატება, რომ დეკლარაციის მყარი და ფართომასშტაბიანი იმპლემენტაცია, მისი პრინციპების ჩვეულებითი სამართლის ნაწილად აღიარებას ნიშნავს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის თანახმად, "არავინ უნდა განიცადოს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და კორესპოდენციის, ასევე მისი პატივისა და

---

<sup>63</sup> უ. კილკელი, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, თბ., 2005., 15

ღირსების თვითნებური ხელყოფა. ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან”.<sup>64</sup>

**სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი** - სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი შეიცავს ეგრედ წოდებულ "პირველი თაობის" ადამიანის კლასიკურ უფლებებს, "რომლებმაც უმრავლესი სახელმწიფოს კონსტიტუციებსა და შიდა კანონმდებლობებში, როგორც მე-18 და მე-19 საუკუნეებში გრანდიოზული რევოლუციების შედეგებმა, ჰპოვეს ასახვა". სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლის თანახმად, "1. არავინ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად ცხოვრების ხელშეუხებლობაში, ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელსა და მიმონწერაში... 2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან”<sup>65</sup>.

---

<sup>64</sup> G. Melander and G. Alfredsson, ed., *The Raoul Wallenberg Compilation of Human Rights Instruments*, Martinus Nijhoff Publishers, 1997, 29.

<sup>65</sup> იქვე, 49

## დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება. კონსტიტუციის მეოცე მუხლის თანახმად: “ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

სამოქალაქო კოდექსის გარდა, პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიები გვხვდება 2000 წელს მიღებულ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის თანახმად, აღიარებულია ინფორმაციის თავისუფლება და ინფორმაციის მიღების პროცედურები. სწორედ აქ არის განმარტებული პერსონალური მონაცემების ცნება. კოდექსის თანახმად, პერსონალური მონაცემები განმარტებულია როგორც: “საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;” ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება მიიღოს ადმინისტრაციულ ორგანოებში მის შესახებ დაცული ინფორმაცია და საჭიროებისამებრ შეასწოროს იგი. კიდევ ერთი საკანონმდებლო აქტი, სადაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების გარანტიები ძევს, გახლავთ 2004 წელს მიღებული კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. ამ კანონით დადგინდა “პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გონივრული მოლოდინის” სტანდარტი, რომელზეც ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ.

პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საფრთხილო სამართალდამცავთა საქმიანობა გახლავთ. სამართალდამცავთა მიერ პირის პირადი ცხოვრების სფეროში შეჭრა – ტელეფონის მოსმენა, ჩხრეკა, ამოღება და სხვა საგამოძიებო მოქმედებები – რეგულირდება საქართველოს კანონით ოპერატიული და სამძებრო საქმიანობის შესახებ. კანონი 1999 წელს იქნა მიღებული და საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს სამართალდამცავებს.

ბუნებრივია, ნებისმიერი მოქალაქის აღშფოთებას იწვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა.

ამასთან, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა თავისუფლებისა და დემოკრატიის დედაბოძია. როდესაც ამ უფლებების რღვევა იწყება, ჩნდება ტირანიის ჩანასახი.

თეორიულად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფორმულის განსაზღვრა რთულია, რადგან სირთულეს წარმოადგენს ზღვარის გავლენა სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვასა და პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას შორის. თუმცა, აღნიშნული ხელშეუხებლობის დაცვა ბუნებრივია სახელმწიფოსა და საზოგადოების საზრუნავია

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა ხელშეუხებელ პირად ცხოვრებაში შეჭრა.

ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან წარმოჩინდა გლობალური ინტერნეტსივრცის საფრთხეები: პორნოგრაფიული მასალების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის, ოჯახის საიდუმლოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების, შეურაცხმყოფელი გამონათქვამების, დომენური სახელების უკონტროლო განაწილების, პოლიტიკურ სივრცეში თვითრეგულირებადი ინტერნეტ-პოლიტიკისა თუ სხვა მავნე კონტენტის სახით. ამასთან, მთავრობების მიერ კიბერსივრცის რეგულირების პროცესი 1998 წლიდან

ინცეზა (აშშ, ევროპის ქვეყნები). საქართველოში, კიბერსივრცის რეგულირება, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

დღეს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში, ინტერნეტი ქმნის ორი სახის გამოწვევას:

1. პირველი წარმოიქმნება კერძო სექტორში, სადაც კომერციული საიტების მიერ გროვდება დიდი მოცულობის პირადი ინფორმაცია კონკრეტულ პირებსა და ჯგუფებზე (მაგალითად, საძიებო, სავაჭრო და სხვა ინტერნეტკომპანიების მიერ). შესამისად, აღნიშნული ინფორმაციის გამოყენების რეგულირების და კონტროლის საჭიროება მნიშვნელოვანი ხდება;

2. მეორე, წარმოიქმნება სახელმწიფო სექტორიდან. აღნიშნული მოიცავს თითოეული მოქალაქის პირად ინფორმაციას, რომელიც გროვდება სახელმწიფო უწყებების მიერ. ამ პროცესში ფორმირდება უზარმაზარი მოცულობის პერსონალური ინფორმაცია.

პრაქტიკულად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მიმართულებით, ქვეყანაში გვაქვს შემდეგი სურათი:

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში ქვეყანაში მოქმედებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა;
- სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულია საზოგადოების უფლებების დაცვა;
- . სისხლის სამართლის კანონმდებლობით დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ხდება ადეკვატური პასუხისმგებლობის დაკისრება.

არსებითია აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროცესების პრევენცია, კანონის გამკაცრების გარდა, ტექნოლოგიურად – ინტერნეტ-ფილტრაციითა და ინფორმაციის ნაკადის კონტროლის მექანიზმებით – უნდა იქნას მიღწეული.

## გამოყენებული ლიტერატურა:

### სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, (სტატიათა კრებული კორკელია.კ.-ს რედაქტორობით) თბილისი. 2011
2. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი 2013
3. ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (დისერტაცია) თბილისი 2012
4. გაბუნია შ., ვირტუალური კომუნიკაციების როლი თბილისელ ლესბი ქალთა ცხოვრებაში, თბილისი 2010
5. დემეტრაშვილი, კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, 2010
6. იზორია ლ., კ. კორნელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბილისი, 2005
7. კილკელი უ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, თბილისი 2005
8. კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების

- პრაქტიკაში, სტატიათა კრებული "ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში", თბილისი 2004
9. მონიავა თ., ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების ცნება, "სამართალი", N6-7, 2003
  10. ნადარეიშვილი გ., ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, "ალმანახი", ქართული სამართლის ისტორიის ძეგლები, 2000, N14,
  11. ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, "ბონა კაუზა", 2003
  12. მონიავა თ., პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), თბ., "მერიდიანი", 2005
  13. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ( საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი) 2014
  14. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013
  15. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. (ავტორთა კოლექტივი) თბ., მერიდიანი, 2005
  16. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის მდგომარეობით თბ. 2015
  17. ცაცანაშვილი მ., ინფორმაციული სამართალი, თბ., 2004
  18. კორკელი კ.ა, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბ., ევროსაბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, 2005

19. ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ.,  
“მერიდიანი”, 2003

### სტატიები:

1. კორკელია, კ., „პირადი ცხოვრების, მიმონერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით“, ურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004-1;
2. ფათიაშვილილ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონებთან მიმართებით, უ. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 2015, VIII
3. საგინაშვილი, ნ., „პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“ ურნალი ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბილისი 2015
4. კორკელია, კ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, 2002წ.
5. კუხიანიძე, დ., „ფარული საგამოძიებო მოქმედებების არსებობის აუცილებლობა“, საერთაშორისო სამეცნიერო ურნალი „ინტელექტუალი“, N17, 2011



6. ბუაძეკ. „ზოგიერთი ნორმის სრულყოფისათვის სისხლის სამართლის პროცესში“, „მართლმსაჯულება და კანონი“ N 2, 2014წ.
7. გახოკიძე, ჯ., მამნიაშვილი, მ., ფარული საგამოძიებო მოქმედებები თუ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა? უერნ. „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები,“ № 6, 2010
8. გაბრიჩიძე, ნ., „ პასუხისმგებლობა სატელეფონო საუბრის უკანონოდ მოსმენისათვის“. უერნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, N3.
9. ლეკიაშვილი, დ., ზოგადი მოსაზრებები საპროცესო და არასაპროცესო მოქმედებების თაობაზე, სტუ-ს I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამართლის აქტუალური პრობლემები“.
10. გვასალია, თ., ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები, „სამართალი და მსოფლიო“, N2, 2015

#### **ნორმატიული მასალა:**

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი 24.08.1995 წელი
2. საქართველოს კანონი “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ”, თბილისი 28.12.2011 წელი
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი 26.06.1997 წელი
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი 22.07.1999 წელი
5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბილისი 25.06.1999 წელი

#### **სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10/06/2009 წლის განჩინება N458, II-4.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 29/02/2012 წლის გადაწყვეტილება N484, II-2.
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/2058)
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება (საქმე Nას-968-1269-07)
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება, 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება (საქმე N1/7/454), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე N2/3/406,408)
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.პ.13;
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის 12/3/406, 408 გადაწყვეტილება: საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.15
8. 2008 წლის 30 ოქტომბრის 12/3/406,408 გადაწყვეტილება

**უცხოენოვანი ლიტერატურა:**

1. G. Melander and G. Alfredsson, ed., The Raoul Wallenberg Compilation of Human Rights Instruments , Martinus Nijhoff Publishers, 1997

**სხვა წყაროები:**

1. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება (საქართველოს კანონდმდებლობის ანალიზი), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014, [www.gdi.ge](http://www.gdi.ge)
2. საქართველოს პარლამენტის განმარტებითი ბარათი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, 2014
3. <http://www.supremecourt.ge/news/id/30> ინფორმაცია რეკომენდაციების შესახებ სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების და ჩანერის გამოყენებასთან დაკავშირებით, 04/01/2013
4. საქართველოს უზენაესი სასამართლო ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის 2016 წლის მონაცემები, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-statistic-7b.pdf>
5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ანგარიში, 2015წ.
6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში“ 1/03/2014
7. ევროპის საბჭოს გენერალური სამდივნოს ადამიანის ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის მონაცემთა დაცვის განყოფილების დასკვნა „საქართველოს კანონპროექტებზე სამართალდამცავი ორგანოებისა და ეროვნული უშიშროების სამსახურების მიერ თვალთვალის წარმოებასთან დაკავშირებით“ , დასკვნის ავტორები: დუვეკ ორფი, ჯოზეფა. კანატაჩი, გრეჰემსატონი. ქ. სტრასბურგი, 10 თებერვალი 2014.